

# ლიტერატურული გაზეთი

№112 27 დეკემბერი 2013 - 16 იანვარი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

## გამოთხოვება დიდ მწერალთან

ჭაბუა ამირეჯიბის სიკვდილი განთქმული კატორღელის ბოლო გაქცევა! ავა ახლა იგი სამოთხეში მართალ კაცობრიობასთან, მართალ საქართველოსთან, მაგრამ მისი უცნაური, გამორჩეული უნარის წყალობით ჩვენთანაც მარად იქნება...

— ასეა ეს! — როგორც იტყოდა ამას ჭაბუა ამირეჯიბის და ჩვენი დათა თუთაშხია.

### ტარიელ ქანტურია

## „მომენტება სიცოცხლე, მოვალ“

„ადამიანს მხოლოდ მაშინ შეიძლება ზევიდან შეხედო, როცა გინდა ნაქცეული ფეხზე წამოაყენო“. აღარ მახსოვს, ვინ თქვა ეს სიტყვები, მაგრამ დათა თუთაშხიას დაუშვებელ იდეალიზმს გავს, რომელსაც გული კი ტკივა იმის გამო, რომ „ვისაც ჩააცვა, სწორედ იმან გახადა“, თუმცა თავისი ღვთისმადიებელი ბუნებიდან გამომდინარე, მაინც ვერ ამბობს უარს სიკეთესა და მიმტევებლობაზე. არა მხოლოდ პატარა ადამიანის მიმართ, არამედ მკვეთრი და მოქმედი ცხოვრების პატრონების მიმართაც, რადგან თუ ღმერთი ყველა ადამიანშია, ოღონდ ვინც ვერ გრძობს, ვერ ხედავს ამას, ასეთ კაცს უფრო უნდა გაახსენო სხეულის ტაძრობა, ბოროტება არ ჩაადენინო. ამიტომ უყვარს დათა თუთაშხია და, რა თქმა უნდა, ჭაბუა ამირეჯიბი, მკითხველს. ადამიანს, რომელიც არაცნობიერად ესწრაფვის იდეალს, მფარველ გმირ-პიპერბოლას დათა თუთაშხიას.

სამების ეკლესიიდან მთანმინდამდე ფეხით მიასვენეს ჭაბუა ამირეჯიბი.

„მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა, მე კი ჩვენი დამიფარავს მთანმინდა“.

გალაკტიონი

შენც დაგიფარავს, ჭაბუა! ხორხში რომ ზღარბი გეჯდა ამდენი წელი და ათასი წემსით სისხლს გიღებდა და ტკივილისთვის ეძებდი სიტყვებს, ის სიტყვები დარჩა, ტკივილი წავიდა, მაგრამ მხოლოდ შენთვის, ახლობლებს მიემატა, მთელ საქართველოსაც.

და თუ რამე ნუგეში შეიძლება ამ დროს, ალბათ, სიტყვით, ვისაც სიტყვის ძალაუფლების სჯერა. ერთი კარგი ქართველი პოეტის ლექსი მახსენდება, რომელიც ზედგამოჭრილია ჭაბუა ამირეჯიბზე:

„მომენტება სიკვდილი, წავალ, მომენტება სიცოცხლე, მოვალ“.

ლია სტურუა

## განუწყვეტელი დიალოგი

ღირსებები, რომლებიც ქართველ მწერალთა შორის გამოარჩევა ჭაბუა ამირეჯიბს — როგორც მწერლური, ასევე ადამიანური — მალე ჩვენს ძველ ლიტერატურულ ძეგლებში გაგვიხდება საძიებელი — დანყებული რუსთაველიდან და გურამიშვილიდან.

ამჯერად მხოლოდ ისაა საკვირველი, როგორ შეკრა მისი ბოლოქარი სული და დაუდგრომელი სხეული სიკვდილმა.

მალე — ალბათ — მისი სხვა ადამიანური და მწერლური სიქველევებიც ასევე გაგვიკვირდება, ჭაბუამ ხომ ისეთი დიალოგი გააბა ქართველ მკითხველთან, დრო რომ ვერ განყვეტს.

ბესიკ ხარანაული

## თუთაშხია ტრიალავს ქართველებში

თუთაშხიამ დიდხანია გადმოაბიჯა წიგნიდან და სადაც გინდა, იქ შეგხვდება: მოფრებში, სახელოსნოებში, ელიავას ბაზრობაზე თუ სტადიონზე... ყურში მოგხვდება ხოლმე თუთაშხიასაგან ნაცნობი სენტენცია, განსჯა, პარდოქსი, მოსწრებულად მოჭრილი სიტყვა... თუთაშხია ტრიალავს ქართველებში — მათი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი... საოცარია: გამოდის სულ ახალ-ახალი გამოცემები და მაინც სულ იყიდება... ის კი არა, რამდენჯერმე კვირის ბესტსელერებშიაც აღმოჩნდა... ეს წიგნი, ალბათ, ყველა ოჯახში დევს...

ვაჟა გიგაშვილი

## გამოთხოვება ჭაბუასთან

ასეც ხდება ხოლმე, იშვიათად, მაგრამ ხდება ასეც, როცა ყველაზე დიდი შეფასება შენი ღვანლისა, ყველაზე დიდი ჯილდო ცხოვრების ბოლოს, სახელით

მოსხენიებაში იხატება. სახელით, წინ რომ ზრდილად, აღარც ბატონობით მიმართვა ან გვარის დაზუსტება სჭირდება, არც რამე სხვა ზედსართავი... ის თვითკმარია მეფისთვის თუ მხატვრისთვის, მწერლისთვის თუ პედაგოგისთვის... დავითი, ილია, ვაჟა, აკაკი, ნიკალა, ჭაბუა!

მითხრეს, გითქვამს ბოლოში: მამა, სახლში წამიყვანო! აგისრულეს ეს ნატვრა ქართველებმა, ოღონდ კი არ წავიყვანეს, აგიყვანეს სახლში, ამ წმინდა მთაზე, სადაც ლომების ცალკე პრაიდმა დაიდო ბინა.

და მეც პირველად მოგმართავ სახელით უბატონოდ — ჭაბუა!



ახლა ჩემში, უკვე ხანდაზმულ ადამიანში, უცნაურად მატულობს მონაფეობის შეგრძნება. შენ გვწერდი, „დაიცავი საქართველო!“ და არ გულისხმობდი მხოლოდ საზღვრებს და ტერიტორიებს, რის დაცვასაც შენი ლამაზი ბოკვერი — ირაკლი შეენიარა. იმიტომ რომ გრძობდი, საქმე უფრო რთულადაა. და ეს ტკივილიანი ენერგიით დანაღმული ორი სიტყვა, იმ ქართული ფასეულობების დაცვას მოითხოვდა, რომელიც ქართულის გარდა ზოგად საკაცობრიოცაა. ფასეულობების, რომელიც მოულოდნელად იოლად მსხვერველი აღმოჩნდა მსახვრალი ხელისთვის და თურმე მის მცველს, ხმლის ქნევის გარდა, სულის სიმტკიცე და დიდი ცოდნა ესაჭიროებოდა. ცოდნა იმისა, თუ რას და რატომ იცავს.

და შენ, ჭაბუა, ერთერთი ბოლო რაინდი, გვაძეცვადინებდი ამ ცოდნაში და ყავარჯნად დგებოდი ჩვენთვის, ვისაც ეს ცოდნა, ენერგია და სულის სიმტკიცე გვაკლდა, გვაკლდა ხანდახან, მაგრამ ეს ხანდახან შენთვის კატასტროფის ტოლფასი იყო.

შენ, ეპოქებგამოვლილს, არც ციხეკაზმემატები, არც დევნა და არც მსოფლიოს აღიარება დაგკლებია გრძელ ცხოვრებაში. მაგრამ სულ ბოლოს, ერთ პატარა ოთახში, ბერ დავითად შერაცხული, მარტო დარჩი სუფთა დაფასთან და აქედან ებრძოდი ბოროტს და არ გვავენიყვებდი, რომ ამ ბრძოლაში სულის მოთქმა არ არსებობს.

და დღეს, შენს საფლავთან ქედმოხრილს, მე ღრმად მწამს, რომ ჩვენც და შემდგომი თაობებიც არ დავიღვებით საქართველოსა და სულიერების დაცვაში. რომ სიბრძნით და არა ცერცეტობით მიიღწევა ის დიდი მიზანი, რისთვისაც შენ იღწვოდი. და მე არ გეტყვი ნახვამდის, მე გეტყვი გამარჯობას, გამარჯვებას! ჭაბუა!

ლაშა თაბუკაშვილი

## უკანასკნელი გარდასახვა

პირველად იყო ბგერა, უფრო სწორად, იყო გაკვირვება უცნაური ბგერათშეთანხმებისგან — თ უ თ ა შ ხ ი ა. ქართულ ფონეტიკაში ამოხეთქა უცნობმა ენერგიამ, რომელიც არქაულ სიცხოველეს აფრქვევდა. თ უ თ ა შ ხ ი ა — თანხმოვნები ხელისგულზე დაყრილი ნაკვერჩხლებით შიშინებდა და გრძობდა, განიცდიდა, ხედავდა ზუსტად გადახსატვრულეულ ცხოვრებას.

მახსოვს ის დრო, როდესაც „დათა თუთაშხია“ ქვეყნდებოდა. ისთიოზავრით მოვარდნილი კეთილმოზილი აბრაგის თავგადასავლით ცხოვრობდა ხალხი.

თუთაშხიას ფილოსოფია ასხვავდებდა ცხოვრებას.

სტუდენტობისას შეეხვდი დიდების ზენიტში მყოფ ავტორს. მისი სახელი აუხსნელ უნისონში იყო რომანის გმირის სახელ-გვართან.

თითქოს შენთან იყო და თან განზე იდგა. მზერაც გაურბოდა უფრო შორს, უფრო მაღლაც.

ჰქონდა სიმაღლე, მაგრამ ზემოდან არ იყურებოდა. გაგრძნობინებდა, რა არის არისტოკრატის თავმდაბლობა.

ასეთივეა მისი სილუეტი ტონინო გუერას პოემაში „ფოთოლი — მეხამრიდი“. იქაც ჰორიზონტს გაჰყურებს უცნაური მოლოდინით.

უბრალო და საკვირველი იყო მთელი მისი ცხოვრება და საკვირველი უბრალოებითაც დაამთავრა — ბერის სამოსით გადავიდა მარადიულობაში. გააკეთა ის, რაც თუთაშხიას უნდა ექნა. ეს იყო ჭაბუა ამირეჯიბის უკანასკნელი გარდასახვა.

ივანე ამირხანაშვილი

## ჩვენც ვერ დაგვაკლებენ ვერაფერს

„უდაბურება კალუგის ველის და მწუხარება ჩვენი ქართული“

გალაკტიონი

„ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე!“ — ეს ფრაზა მთელი საქართველოს დევიზად შეიძლება გამოდგეს.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეშივე მითოლოგიური არეალით იმოსებიან: კარგები ან ცუდები, ბოროტები ან კეთილები, მაგრამ, როგორც წესი, ასეთები ან ისეთები არ არიან, ხშირად ატარებენ ურთიერთგამომრიცხავ თვისებებს, მაგრამ ერთი რამ აერთიანებთ — ყოველთვის მზად არიან საქციელის, ნამდვილი საქციელის ჩასადენად და რისკიანი, საბედისწერო ნაბიჯის გადასადგმელად, როგორც საკუთარი თავის, ასევე გარშემო მყოფებისთვის.

მერე კი, თუ გაუმართლებთ და ცოცხლები გადაჩნენ, ილბალი, რასაც ძველად კავკასიაში „დავლათს“, „ნანილს“, „ნანილიანს“ ეძახდნენ, აღარ ტოვებთ და ასე ყალიბდება ლეგენდა, მითი...

ჭაბუა ამირეჯიბი განსაკუთრებული, გამორჩეული ადამიანი იყო მანამდეც, ვიდრე თავის ერთადერთ წიგნს (ჩემი ღრმა რწმენით) და შედეგს — „დათა თუთაშხიას“ შექმნიდა: გამხმარ, გაშლილ მკერდზე ტატუთი ამოტვიფრული ატოცის წმინდა გიორგი, ჩახლენილი ხმა, მერე ღრმა სიბერეში მთლად უხმოდ დარჩენა, ხელში შავი დაფა და სანერკალამი, ბერად აღკვეცა. ახალგაზრდობაში კი 16-წლიანი „სროკი“, ორჯერ მისჯილი დახვრეტა, სამი გაქცევა და ბოლოს 1959 წელს კალათბურთის თამაშის დროს გაგონილი ნანატრი სიტყვები — „ამირეჯიბი ნა სვაბოდუ“ და „ლაგერის“ რახრახით გაღებულ რკინის კარიდან გასვლა. ოღონდ, ეგეცა — „ნა სკობოდუ“ რომ დაუძახეს, პირველ ტაიმს თამაშობდა. მეორეც ითამაშა, მოიგო და მერე გავიდა.

კიდევ უფრო ადრე, 1942 წელს, თბილისის ქუჩებში სირბილი, როდესაც „ენკავედეს“ ჯალათებს ჩელუსკინელების ხიდეზე, პლუხანოვზე და ვარანცოვზე გაურბოდა — მტკვრის გაღმა-გამოღმა გადარბენა და იტალიურ ეზოებში უკნიდან მოყოლებული, „პანტოვი“ ნაგანის ყეფა და აცდენილი, ჩაშულიებული ტყვიების ცივი სტვენა.

მერე კი „დათა თუთაშხია“ დაწერა. უმდიდრესი ტრადიციების ქართულ ლიტერატურაშიც კი გამორჩეული და შეუფასებლად მნიშვნელოვანი წიგნი. იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გამოქვეყნებისთანავე ატყდა მითქმა-მოთქმა. მე კი მგონია, ძალიან მაგარი რამეა ეგა — ისეთი წიგნის შექმნა, არავინ იჯერებს, რომ შენი დაწერილია. „დათა თუთაშხია“ ისეთი უბედურებაა, მართლა არა ჰგავს არავის დაწერილს, საერთოდ ადამიანის დაწერილს არ ჰგავს. თითქოს საიდ-ანლაც მოვიდაო.

ჭაბუა ამირეჯიბი კი, რომელმაც ყველაფერი ნახა, რაც კი ამ საეჭეთში შეიძლება ნახო და კიდევ უფრო მეტი — ნავიდა. სახლში ნავიდა. ეს „სროკიც“ დამთავრდა.

მე კი, დიდუბეში, 9 სართულიან სახლში, ტროსტის ბჯენით ამომავალი მემახსოვრება, როდესაც კიბის ბაქანზე სულის მოსათქმელად გაჩერდა და ამოიხიხინა:

— ვერაფერი დამაკლეს!..

ჩვენც ვერ დაგვაკლებენ ვერაფერს!..

ბექა ქურხული





\*\*\*  
 როგორც კი შენს ტერიტორიად დამიგულე,  
 ჩემი კატასავით იქცევი:  
 შარდით ნიშნავ ჩემს კიდევებს...  
 და ჯოჯოხეთის გოგირდით  
 ვყარვარ...  
 არავისი მინა არა ვარ.  
 ხიდი ვარ,  
 ორ არაფერს შორის გადებული.  
 თამამად გაიარე...

\*\*\*  
*მიშო დადიანს*

ხანდახან ასე მგონია,  
 რომ ჩემი შვილი ხარ  
 და მინდა, გითხრა:  
 ხეები ტოტებს რომ გიქნევენ,  
 დამშვიდობება კი არ არის,  
 თავისაკენ მიგიხმობენ,  
 რომ მოგეფერონ...  
 მაგრამ შენ ისე გაიზარდე ამასობაში,  
 ყველაფერი ჩემზე უკეთ მოგეხსენება...  
 ცხოვრებაა ეს ჩახლართული ინტერნეტქსელი  
 და მე ვერაფრით გავერკვიე მის ბუნდოვან სპეციფიკაში,  
 ხელს,  
 შემთხვევით,  
 სულ სხვადასხვა ლილაკებს ვაჭერ  
 და უეცრად ამომხტარი  
 ყველა ფანჯარა  
 სასტიკად მაბნევს,  
 რადგან იქიდან ნიავი არ მელამუნება...  
 შენ კი დგახარ და გეცინება  
 ჩემს  
 ტექნიკასთან მწყრალად ყოფნაზე...  
 როგორც მაშინ,  
 როცა მინდოდა,  
 ზრდასრულობის საიდუმლო  
 ამეხსნა  
 შენთვის,  
 მაგრამ სანამ ამისათვის ფორმა მოეძებნე,  
 ჩემზე უკეთ  
 ყველაფერი  
 ქურამ გასწავლა...

\*\*\*  
 რამდენი ხანია,  
 აღარ მინახიხარ, შემოდგომავე —  
 ჩემო მეგობარო.  
 ბოლოს, უნივერსიტეტის წინ,  
 მინისქვეშა გადასასვლელში შევეჩხეთ,  
 სადაც ერთმანეთს გვერდს ვერ ავუვლიდით..  
 მე გაგიღიმე,  
 შენ კი შენი ყავისფერი, გახუნებული ჩანთა გამკარი და  
 გვერდი ამიარე.....  
 იმ ჩანთაში ალბათ გაცრეცილი ფურცლები გეწყო,  
 სადაც ლამაზი ხელით გენერა  
 ჰუმანისტური ლოზუნგები,  
 მაგალითად:  
 როგორ უნდა გიყვარდეს და  
 უფრთხილდებოდე ადამიანს...  
 ასეა, —  
 მე ფოთოლი ვარ,  
 ჩემო მეგობარო,  
 ქარი მაქნევს  
 და ხუთი ნელია,  
 რაც გემშვიდობები...

**ორმოცი წლისთვის**

რალაც ფაჩუნობს ამ შემზარავ სიმარტოვეში,  
 როგორც წყალში კენჭის ჩავარდნა,  
 გაილევებს,  
 ზედაპირზე ნუჟრებს იკეთებს  
 და თავისთან,  
 ფსკერისაკენ გეპატიჟება,  
 შემოდგომის მენამული ხავერდით  
 მღვრიე და თან მოგიზგიზე...  
 უდაბნოსავით....  
 იუველირი ბეჭედს რანდავს  
 და ახარატებს...  
 მზე ბრწყინავს ცაზე  
 ბეჭდის თვალისით,  
 რომელზედაც აწერია:  
 „ესეც გაივლის“....  
 და ამიტომაც მზესაც თავი ისე უჭირავს,  
 თითქოს უდაბნოს კი არ დანათის,  
 ნუჟრია  
 და წყალს ალივლივებს...

\*\*\*  
 სარკეში ჩაიხედა და  
 და აღმოაჩინა,

**გიორგი ლობჯანიძე**

რომ უკვე ბიჭუნა კი აღარ არის,  
 კარლსონია,  
 რომელსაც პროპელერი აქვს დაზიანებული.  
 სახურავზე დაჯდა და  
 ტირის...  
 რა სიმარტოვის მკლავებს გამოგლეჯენ  
 გულუბრყვილო,  
 მურაბებიანი ბიჭუნები?

\*\*\*  
 ხედავ, მომავლის იმედები,  
 როგორ მარბნყინებს,  
 თითქოს ჩვიდმეტი წლისა ვარ და  
 ყველაფრის მჯერა.

ლიანდაგებზე ვწევარ,  
 სახეს სხივი მინათებს:  
 გვირაბიდან  
 მატარებლის შუქი მეცემა...

\*\*\*  
 ასე იყო:  
 ცხოვრება მუდამ  
 ცხვირ-პირში გვცემდა  
 და ჩვენ ბიოგრაფიებს ვაფუთებდით,  
 როგორც ჩამტვრეულ,  
 სისხლიან კბილებს....

\*\*\*  
 დამმალე,  
 როგორც თივაში ცეცხლი,  
 ხალთაში შუბი...  
 გადამაფარე გულგრილობის  
 ნისლი —  
 მთასავით,  
 დამმარხე,  
 როგორც  
 ოქროს ზოდი,  
 ძვირფასი მკვდარი,  
 ვისაც მატლივით ასეგია  
 მოგონებები  
 შენი წარსულის,  
 ანდა შენი მომავლის  
 უფრო...  
 გადამაფინე,  
 როგორც გზისპირს  
 გაშლილი სუფრა  
 და თქვი,  
 რომ მხოლოდ  
 ლენინსათვის  
 ვარგისვარ და  
 პურმარილისთვის...  
 ჩემით დალიე  
 სადღეგრძელო  
 იმ ქალებისა,

პირში რომ ძუძუს მოგვეცემენ  
 და გზის პირისკენ გაიხედავენ  
 ვითომ სიფრთხილით,  
 სინამდვილეში  
 ახალ-ახალი ხიფათისთვის ასწრაფებულნი...  
 გემუდარები:  
 ნუ გამამხელ,  
 დამმალე,  
 როგორც სიყვარული,  
 სოფელში რომ ყველამ იცის,  
 მაგრამ  
 ჯერ კიდევ ქმრის ყურამდე  
 რომ არ მისულა...

\*\*\*  
 მინად ვიქეცი:  
 ადვილად ვტყდები,  
 მაგრამ  
 ბასრად ვჭრი...

**გულის დასატვა**

ისე მარტო ვარ,  
 ფეისბუქზე დახატული გულების მჯერა,  
 როგორც ღმერთის,  
 ბავშვობიდან რომ ჩამჭიდა ხელი  
 და ალაღბედზე  
 სულ გვირბეზებში დამატარებს,  
 ერთი ბენო შეცდომასაც  
 ცხვირში მახეთქებს...  
 მხოლოდ ამით ვგრძნობ,  
 რომ ის არსებობს,  
 და კიდევ შენით,  
 ღმერთით რომ  
 მარტოობით გულშეძრულმა  
 გამოგიგონე...  
 თებერვლის წყლებში მოფართხალე  
 თევზებს სჩვევიათ,  
 სინამდვილედ გადაიდნონ წარმოსახული  
 და ამ ზეთში იფართხალონ,  
 როგორც ტაფაზე...  
 მდულარეა გამონაგონი  
 და სახმილი კიდევ ის არის,  
 შენივე შეთხზული და შექმნილი რომ გილაღატებს,  
 გეტყვის: „შენთვის არ ვარსებობ,  
 ის არა ვარ, ვინც შენ შექმენი!  
 ცოდვის ძაფებით ნაქსოვი ვარ,  
 და არა შენი ნათლის ხელითო!“  
 ასე სჩვევიათ თებერვლის თევზებს,  
 შორს მიცურავენ  
 მშობლიური ჯილეებიდან,  
 გამონაგონში შიშინებენ,  
 როგორც ტაფაზე...  
 და მარტივია ეს,  
 როგორც ვინმეს გამოგონება  
 ან ფეისბუქზე სისხლისფერი გულის დასატვა,  
 ვიდრე ეს გული  
 ადგება და...  
 ფეთქვას ისწავლის....



\*\*\*

[http://soundcloud.com/ako-akhalaia/chiladze\\_otar](http://soundcloud.com/ako-akhalaia/chiladze_otar)

„რა მოხდა თუკი ველარ შეხვედებით,  
ამ ქვეყნად რაც კი ხდება შემთხვევით,  
მარადიული ის არის მხოლოდ...“

ოთარ ჭილაძე

...ისმის ხმა  
ხმა რომელსაც სტკივა  
ხმა ხანდაზმული  
ხმა დაღლილი  
ხმა გაბზარული  
და მაინც შემართული  
უკანასკნელი ძალის მოკრებით  
რომ ეკამათება სიკვდილს  
ხმა  
რიტმის ტალღების მამოძრავებელი  
ხმა  
სიტყვის ნიბოების შემნივეთელი  
ხმა  
უსხეულო  
ხმა  
შემთხვევითი...

...ტანჯვის გზად იქცეს და უცხო თვალი  
ყრმის თუ მოხუცის, კაცის თუ ქალის,  
გხედავდეს მხოლოდ ამ გზაზე მავალს,  
რადგან დღეიდან მე შენი ხმა ვარ...

\*\*\*

სექტემბრის ღამით  
ზღვის პირას  
პლაჟზე  
ზის ერთი კაცი  
ერთი კაცი ზღვას ელაპარაკება  
ელაპარაკება  
ელაპარაკება  
შიგადაშიგ ჟესტების ენასაც იშველიებს  
ერთი კაცი  
ეტყობა  
რალაცას ედავება ზღვას  
არწმუნებს ზღვას რალაცაში

ზღვა ერთ კაცს უსმენს მშვიდად  
არ აწყვეტინებს  
ლივლივებს თავისთვის

და  
სავარაუდოდ  
ზღვა ერთი კაცის  
ერთადერთი  
მეგობარია

\*\*\*

ბებერი ლიფტის მონოლოგი

ალარ მანებებენ თავს  
აგერ უკვე ლამის 40 წელია ვემსახურები  
დავებრდი  
გავიცვით  
მეტი ალარ შემოძლია  
ვხრიალებ  
ვღრჭიალებ  
ვიჭედები

გამლანძღავენ  
შემაგინებენ  
ცოტათი შემაკეთებენ  
და ამამუშავებენ თავიდან  
არაფერი ეყურებათ  
არ ესმით რომ ლითონიც იღლება  
და ისევ  
ვხრიალებ  
ვღრჭიალებ  
ვიჭედები

ისევ გამლანძღავენ  
შემაგინებენ  
ცოტათი შემაკეთებენ  
და ამამუშავებენ თავიდან

და ისევ და ისევ და ისევ  
რიგზეა ყველაფერი  
რიგზე  
რიგზე  
რიგზე

\*\*\*

— აეთერთ, თქვე ლოთებო, გამოიფხიზლეთ,  
არღა დაღლით, არღა დაღლით...

რამ გამახსენა ამ შეღამებულზე, შუა ვაკეში  
ჩემი ყაზბეგელი დედობილი თამარა?

### ნუგზარ ზაზანაშვილი

რამ და... ახლად მოთიბული ბალახის  
ოდნავ შესამჩნევმა სურნელმა...

ჰალუცინაცია?..

აქეთ-იქით ვიხედები... ტროტუარის პირას  
ახლად შეკრეჭილი გაზონები მომყვებიან  
გვერდით!..

ნეტავ, როგორ ხარ, 90-ს მიტანებულო,  
ქოფაკო თამარ — ახლად მოთიბული ბალახის  
სურნელის მცველო?..

\*\*\*

რა დამავიწყებს შინაურ  
ნაყინს  
პატარა მაცივრის  
პატარა საყინულეს მორგებულ  
ლითონის ოთხ-მომრგვალებულ-კუთხა  
პატარა სანაყინეს

რძე  
კვერცხის ცილა  
ვანილი  
არ ვიცი კიდევ რას ურევდა  
ამ ჯადოსნურ ნაერთს  
დედა

სამაგიეროდ  
ვიცი რომ ის განცდა აღარ განმეორდება  
ისიც ვიცი რომ ის პრიმიტიული ნაყინი  
ვერ შეედრება დღევანდელს  
„ნავაროტკებიანს“  
ესეც მშვენივრად მესმის რომ  
ეს ყველაფერი სენტიმენტებია

და მაინც  
მწყდება  
გული

\*\*\*

რატომ შეაბი ჩემს სანოლს  
წმინდა ნიკოლოზის პატარა ხატი  
დედა  
მე ხომ ასეთი რამეების  
არასოდეს მწამდა

მშვიდად იყავი  
ის ისევე იქაა  
შენი ხელით სადაც შეაბი

\*\*\*

ეჰ ბეჩავო ნიკალავ  
ფულთან მუდამ რომ მწყრალად იყავი

რას წარმოიდგენდი რომ  
ოდესმე ფულზე გამოგსახავდნენ  
თან  
აქაოდა ლატაკი იყოო —  
ერთლარიანზე  
და  
მერე იმასაც  
„ამოიღებდნენ ბრუნვიდან“

(ეგ კი ეგებ გაგხარებოდა კიდევ)

\*\*\*

მენატრება მონატრება  
ვინმესი ან რაიმესი...  
ვითომ ბევრი რამე ხდება,  
წლევანდელი თოვლიც დნება,  
თითქოს იწერება ლექსიც,  
მაგრამ მაინც მენატრება  
მონატრება ძველებური  
ვინმე შეყვარებულის ან  
ვინმე გადამტერებულის.

ვერა, მაინც ვერ ანაცვლებს  
მონატრებას მონიტორი:  
კესანეზე ცვილიცა ჩანს,  
ბუმბულიც ჩანს ფრთაზე ქორის,  
მაგრამ ხელს ვერაფერს ახებ —  
ყველაფერი არის შორი.

ვიცი, ესეც დაბერების  
უტყუარი ნიშანია...  
წავალ, ხალხში გავერევი —  
წუნუნსა სჯობს რია-რია.

\*\*\*

მამაჩემის მეგობრების — პოეტის მიხეილ  
ქვლივიძის, კერამიკოსების თამაზ გამცემლიძის  
და ზურაბ კვიციანიძის, ფსიქიატრის და პოეტის  
სანდრო მათიაშვილის ხსოვნას

ძია მიშა,  
ძია სანდრო,  
ძია ზურა,  
ძია თამაზ,  
მესიზმრებით —  
თქვენთან ერთად  
სუფრას მუდამ უზის მამაც.  
მუსაიფობთ, ბჭობთ და დავობთ  
ხან — რაზე და  
ხანაც — რაზე:  
მხატვრობაზე, ლექსზე, ომზე,  
ამ დაწყველილ ქვეყანაზე —  
უმწეოზე, მშვენიერზე,  
კვეტერაზე, უბისაზე,  
გელათზე და იყალთოზე,  
წინაპარზე, მწვრთნელზე, წვრთვანაზე,  
თიხის მადლზე, სიტყვის ყადრზე,  
ნიჭზე, დაოსატატებაზე,  
და თბილისზე — რა თქმა უნდა,  
სინაღდზე, კაცობაზე,  
სიყვარულზე, სინანულზე,  
წარუვალზე, წარმავალზე  
და ნელ-ნელა თვრებით —  
ასე...

ასე თავისუფლდებით და  
თავს გრძნობთ სულ სხვა სამშობლოში,  
ხოლო გარეთ უცხო ხალხი  
აფრიალებს ნითელ დროშებს,  
აჯილდოებს ჩინ-მედლებით  
ერთმანეთს და  
„ისმის ტაში!“  
თქვენ სხვა რამეს ამჯობინებთ —  
განთიადის ვარდისფერს და  
დილის ას გრამს,  
თავის ხაშით...

ძია თამაზ,  
ძია ზურა,  
ძია სანდრო,  
ძია მიშა,  
როგორ გაუკაცრიელდა  
თქვენი ქალაქური ნიშა!..

### ნიშნები

ჩემი სართულის ერთ მეზობელს, მარტოხელა  
80-ს მიტანებულ ქალბატონს არ უყვარს  
უცხო ადამიანების ბინაში შეშვება, მათ შორის —  
არც საქტრანსგაზის ინსპექტორების. ამიტომ,  
ქალბატონი ყოველი თვის 12 რიცხვში თავისი  
ერთოთახიანის კარზე, გარედან ფურცლის  
ნაგლეჯს ამაგრებს, რაზეც გაზის ხარჯვის  
მაჩვენებელია მიწერილი. ჰოდა, რომელიმე  
თვის 12-ში, ფურცლის ნაგლეჯი თუკი თავის  
ადგილზე არ აღმოჩნდება, მაშასადამე...

ერთი ჩემი ნათესავი, რომელიც სახლიდან  
ველარ გამოდის, ყოველ შაბათს რეკავს და  
ყველას მოგვიკითხავს ხოლმე. ჰოდა,  
რომელიმე შაბათს თუკი აღარ დარეკავს,  
მაშასადამე...

ერთი დეკანოზი გულს უჩივის. დეკანოზს  
გარეგნულადაც ეტყობა, რომ ჯანმრთელობა  
შერყეული აქვს. ჰოდა, ერთხელაც მის  
ეკლესიაში რომ შევალ და დავინახავ, რომ  
წირვას სხვა ატარებს, მაშასადამე...

ერთი კუკიელი მესაფლავე ჩემი წინაპრების  
საფლავებს უფლის: თვეში ერთხელ,  
როდესაც კუკიაზე ავდივარ, საფლავები  
ყოველთვის დალაგებული მხედება. ჰოდა, ერთ  
მშვენიერ დღესაც რომ ავალ და საფლავები  
დაულაგებელი დამხვდება, მაშასადამე...

ერთი მე თვეში ერთხელ კუკიაზე ადის  
საფლავების მოსანახულებლად. ჰოდა — ერთ  
თვეს რომ არ გამოჩნდება კუკიაზე, მეორე  
თვესაც, მესამე თვესაც, მაშასადამე...

დასკვნა: მაშასადამე, ნიშნები იმისათვისაა,  
რომ ვაკვირდებოდეთ მათ...

— **ბატონო პაატა, უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ მსოფლიო პოეტთა ელჩობას. ეჭვი არ არის, ამ ამბავს სიხარულით შეხვდებიან თქვენი პოეზიის თაყვანისმცემლები როგორც ვირტუალურ სივრცეში, ისე რეალურ სინამდვილეში. ალბათ მათაც გაუჩნდებათ კითხვები — რა არის მსოფლიო პოეტთა მოძრაობა, ვინ და როდის შექმნა იგი?**

— უნდა ვაღიარო, რომ ამ ცოტახნის წინათ მე თავადაც ბევრი არაფერი ვიცოდი ამ მოძრაობის შესახებ. ოდესღაც კი ვიყავი დაინტერესებული საერთაშორისო ლიტერატურული გაერთიანებებით და საქართველოს ჩართვით მათ საქმიანობაში, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ, წინა ათასწლეული! მსოფლიო პოეტთა მოძრაობა კი შედარებით ახალია, ამ ათასწლეულში, 2005 წელს შეიქმნა. მისი დამფუძნებელია გამოჩენილი ჩილეელი პოეტი ლუის არიას მანსო, უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანი. ჩილეში 1973 წლის პუტჩის დროს იგი 17 წლის იყო. 1975 წელს იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქვეყანა. დევნილობის ბოლო 12 წელიწადი საფრანგეთში გაატარა და სამშობლოში მხოლოდ 1991-ში დაბრუნდა. ავტორია სამი კრებულია „ახ-უალუნა“, „სიყვარულის ათასი წელი“ და „მომეტებები“. 2004-2005 წლებში იყო ლათინური ამერიკის პოეტთა ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. ამ თანამდებობიდან გადადგა სწორედ იმიტომ, რომ მსოფლიო პოეტთა მოძრაობა დაეარსებინა. მოძრაობას მან საფუძვლად დაუდო მის მიერვე 2000 წელს შექმნილი მანიფესტი, რომელიც 28 ენაზე თარგმნილი და რომელიც პოეტებს — როგორც წესი, ინდივიდუალისტებს, — ერთიანობისა და კონსოლიდაციისაკენ მოუწოდებს. იგი პაციფისტური სულისკვეთებისაა, თუმცა მსოფლიო პოეტებს ერთობლივი ბრძოლისათვის იხვევს კაცობრიობის მომავლის გადასარჩენად. უმთავრესი, რითაც მსოფლიო პოეტთა მოძრაობა სხვათაგან განსხვავდება, ის არის, რომ იგი თავის არსით, ვირტუალური მოძრაობაა, არ მართავს ყრობობებსა და კონგრესებს, თუმცა მასში შემავალი პოეტები ერთადაც და ცალცალკეც მრავალ რეალურ ღონისძიებაში მონაწილეობენ თავ-თავიანთ ქვეყნებში თუ საზღვარგარეთ.

— **ვინ არის მსოფლიო პოეტთა მოძრაობაში ჩართული?**

— სადღესოდ მსოფლიო პოეტთა მოძრაობაში ჩემი ჩათვლით 7037 პოეტია გაერთიანებული ხუთივე კონტინენტის 140 ქვეყნიდან. ჩემი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება და სანამ ეს ინტერვიუ დაიბეჭდება, ეს ციფრები ალბათ შეიცვლება. ამ მომენტისთვის კი ყველაზე მეტი — 1894 პოეტი წარმოდგენილია ბრაზილია; შემდეგ მოდიან: არგენტინა (718), ჩილე (477), ესპანეთი (366), ერაყი (176), პორტუგალია (159), ტუნისი (147), მაროკო (131), საფრანგეთი (107)... გამომდინარე მისი დამფუძნებლის და ხელმძღვანელის სადაურობიდან, ჯერჯერობით აქ ლათინური ამერიკის პოეტები სჭარბობენ. თუმცა უმჯობესი იქნება, ეს გეოგრაფიული ტერმინი ამ შემთხვევაში მისი კულტუროლოგიური სინონიმით — იბეროამერიკით ჩაანაცვლოთ. იბეროამერიკა ლათინური ამერიკის გარდა ევროპულ მეტროპოლიტსაც მოიცავს — ესპანეთსა და პორტუგალიას. სულ იბეროამერიკაში 25-მდე ქვეყანა მოიაზრება. არანაკლებ ქვეყანამრავალი არაბული სამყარო. მსოფლიო პოეტთა მოძრაობაში აზიისა და აფრიკის 22 არაბული ქვეყნის 1054 პოეტია წარმოდგენილი. ბოლო ხანებში, როგორც ჩანს, ორგანიზაცია ცდილობს, სიმძიმის ცენტრის იბეროამერიკიდან გადატანით დაახლანსოს თავისი გეოგრაფია და ალბათ ამას ემსახურებოდა სწორედ ამ ცოტა ხნის წინათ მსოფლიო პოეტთა პრეზიდენტად ბულგარუ-

ლი წარმოშობის ფრანგი პოეტის ათანას ვანჩევი დე ტრასის არჩევა.

— **საქართველოში, როგორც ვიცით, მას ნაკლებად იცნობენ...**

— დიახ, ასეა, მაგრამ ეს გახლავთ უდიდესი თანამედროვე ფრანგი პოეტი. ნერს ფრანგულად თავისუფლად ფლობს რამდენიმე სხვა ენასაც, მათ შორის — ძველბერძნულსა და ლათინურს. მიღებუ-

(ავსტრალია) და არაბული სამყაროსთვის — იუსეფ რზუგა (ტუნისი); ხოლო გენერალური მდივნის მოადგილეები არიან: ევროპისთვის პატრიკ დუჟუ-ესტრადა (საფრანგეთი), აზიისთვის — სონეტ მონდალი (ინდოეთი) და აფრიკისთვის — ალფონს პაციფიკ ჰიტმინა (რუანდა). ყველა ამათგანი ცნობილი პოეტია თავის ქვეყანაში და არა მარტო

ბოდა. მაგრამ რატომღაც მაინც აზიაში აღმოჩნდით, რაკილა მათ ამგვარი გეოგრაფიული სქემა აქვთ არჩეული. მე ამის გაპროტესტება არ მიჩქარია, ჯერ ერთი, მსოფლიო პოეტთა საიტზე აზიაში საქართველოსთან ერთად არის სომხეთიც, აზერბაიჯანიც, ისრაელიც, თურქეთიც და კვიპროსიც. როცა თავის დროზე, 1992 წლის მარტში, საქარ-

შტაბით. ჩემი წარმოდგენით, ეს არ უნდა იყოს დღეს არსებული ლიტერატურული გაერთიანებების მსგავსი, თავისი იერარქიითა თუ ბიუროკრატით. ამის თაობაზე უკვე მქონდა საუბარი ჩემზე უფროსი და ჩემზე უმცროსი თაობების პოეტებთან — ვახტანგ ჯავახიძესთან და გიორგი ლობჯანიძესთან. სულ ახალგაზრდებიც მინდა ჩავართო საქმეში. ჯერ არ ვიცი, კონკრეტულად როგორი იქნება ეს გაერთიანება და რა ერქმევა მას — საზოგადოება, ასოციაცია, კლუბი, ამქარი, ორდენი თუ სხვა, ამას სხვებთან ერთად დავაზუსტებთ. შეიძლება სულაც ქართველ პოეტთა სამეფო დავარქვათ. სხვათა შორის, ნახევარი საუკუნის წინათ, როცა თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის თავმჯდომარე ვიყავი, გამიჩნდა იდეა, ყოველ წელს აგვეჩინა ქართველ პოეტთა მეფე თუ დედოფალი და რომ არც ჩვენ, ახალგაზრდები, დაეჩაგრულიყავით, აგვეჩინა აგრეთვე პოეტთა პრინცი თუ პრინცესა. ჩემი ჩანაფიქრი წრის ხელმძღვანელს, ჩემს უფროს კეკელიძეს გაუზიარე, მან კი — სხვაგან არსად წამოგვცდეს, მონარქისტობას დავანამებო. ასეთი დრო იყო. რატომ არ შეიძლება ქართველ პოეტთა გაერთიანებამ შემოიღოს ასეთი რამ და დაამკვიდროს ეს ტრადიცია? თუ სილამაზის დედოფლის არჩევა შეიძლება ყოველწლიურად, თანაც რამდენიმესი, ვითომ რატომ არ შეიძლება ყოველწლიურად პოეტთა ერთი მეფე ავირჩიოთ? მაგრამ ეს ყოველივე მომავლის საქმეა.

— **მსოფლიო პოეტთა ოფიციალური ვებგვერდზე გამოქვეყნებული თქვენი ლექსები ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე. აქვეა თქვენი ბიოგრაფიაც, სხვათა შორის, რატომღაც მსოფლიო რუსულ ენაზე. აქვეა დასახელებული თქვენი ლექსების სამი კრებული. სად შეუძლია ქართველ მკითხველს თქვენი ლექსების ნაკითხვან თქვენი ნიგნების შექმნა?**

— სხვათა შორის ამავე საიტზე დევს აგრეთვე ჩემი საუბარი ჩემს ყოფილ სტუდენტთან, დღეს უკვე კარგად ცნობილ ბექა ელბაქიძესთან, რომელშიც პოეზიაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი — ჩემი, ძირითადად სამზარეულოზე, იპროზიზე, ახალ მედიასა და ჟურნალ „ობორონზე“ ვსაუბრობ. ეს არის ჩემი დამოუკიდებლად, საიტის ადმინის მიერ ინტერნეტში მოძიებული მასალა. ასევეა იმ რუსული ბიოგრაფიის ამბავიც. მე უკვე გაუგზავნე მათ ჩემი ბიოგრაფია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და იმედია, მალე ესეც გამოქვეყნდება. რაც შეეხება ჩემს ნიგნებს, იმ სამი კრებულის შექმნა დღეს, სამწუხაროდ, შეუძლებელია, მხოლოდ ბიბლიოთეკაში თუ ნახავს დაინტერესებული მკითხველი, ნაკითხვით კი — ჩემი ლექსების ნახვა ფეისბუქის იმ გვერდებზე შეიძლება, თქვენ რომ განაგებთ. განსაკუთრებით პოპულარულია პოემა „წერილი“, რომელსაც თქვენივე „წერილოფილია“ ეძღვნება. ისე, გეტყვით, რომ მალე გამოვა ჩემი რამდენიმე პოეტური კრებული, რომლებშიც შესული იქნება როგორც ძველი, ისე ახალი ლექსები.

— **როგორ ფიქრობთ, როგორ შეხვედებიან თქვენს ელჩობას და თქვენს მომავალ ორგანიზაციას თქვენი კოლეგები, ქართველი პოეტები?**

— რა გითხრათ. უმჯობესია, ეს მათ ჰკითხოთ, ნებისმიერ მათგანს, ყველას ერთად ან თითოეულს ცალცალკე. ან რატომ უნდა შეხვდნენ ცუდად? არაფის არაფერს ვაპალებთ, არაფის არაფერს ვავალებთ. მე მათთან ერთად, შესაძლებლობის ფარგლებში, მხოლოდ იმაზე ვიზრუნებ, რომ მათი ლექსები რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიცნოს მთელ მსოფლიოში. ქართული პოეზიის უცხოეთში გატანა, საქართველოს წარმოჩენა ძლიერ პოეტურ სახელმწიფოდ, ჩემი, როგორც მსოფლიო პოეტთა ელჩის, მთავარ ამოცანად მესახება.

## მსოფლიო პოეტთა მოძრაობაში საქართველოც ერთვება

### პოეტების უდიდეს საერთაშორისო გაერთიანებას წარმოგვიგანოს მსოფლიო პოეტთა ელჩი საქართველოში პაატა ნაცვლიშვილი

**მსოფლიოში არაერთი საერთაშორისო ლიტერატურული გაერთიანება არსებობს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სიცოცხლისუნარიანი მსოფლიო პოეტთა მოძრაობა გახლავთ. ჩვენში არაფერია ცნობილი ამ ორგანიზაციის შესახებ — რა არის, როდის შეიქმნა, ვინ არიან მისი წევრები, რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავს... ამ კითხვებს უპასუხებს პაატა ნაცვლიშვილი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ამ მოძრაობაში თავის ელჩად დაასახელა საქართველოში. მას ესაუბრებთან ფეისბუქში მისი ფან-პეიჯების („პაატა ნაცვლიშვილი“; „წერილოფილია“) ადმინებები: ელენე მარგალიტაშვილი, სალომე გორგოშიძე და ლიკა ალადაშვილი.**

ლი აქვს სერიოზული კლასიკური განათლება ევროპის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. გამოცემული აქვს 32 პოეტური კრებული. არის ავტორი მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევებისა. მოვლილი აქვს ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანა. თარგმნილი აქვს მრავალი ქვეყნის მრავალი პოეტის მრავალი ლექსი თუ პოემა. არის მსოფლიოში უძველესი — საფრანგეთის მწერალთა საზოგადოების წევრი, ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ფრანგული პოეზიის ოქროს ვარდის კავალერი, პუშკინისა, სოლენსარას, ნაიმ ფრანკისა და მრავალი სხვა საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, არაერთი პოეტური კონკურსის გამარჯვებული. მისი ლექსები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. მალე პარიზში გამოვა მისი ლექსების ჩემულის ქართული თარგმანიც. ამ თარგმანებს ქართულ ლიტერატურულ პრესაშიც დაუბეჭდავ და ჩვენს მკითხველს წარმოგვინახე შექმნილი მის შემოქმედებაზე. სხვათა შორის, მანაც თარგმნა ჩემი რამდენიმე ლექსი ფრანგულად.

— **რაკი პრეზიდენტი ახსენეთ და გავაცანით, როგორც ჩანს, თავისი ვირტუალურობის მიუხედავად, მსოფლიო პოეტთა მოძრაობას აქვს გარკვეული ორგანიზაციული სტრუქტურა. როგორია იგი?**

— როგორც გითხარით, მსოფლიო პოეტთა მოძრაობის დამფუძნებელია ჩილეელი პოეტი ლუის არიას მანსო. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტობა ათანას ვანჩევი დე ტრასის გადააბარა, იგი მოძრაობის გენერალური მდივანია. მას ჰყავს ერთი მთავარი მოადგილე — კოლუმბიელი მეგი გომეს სეპულვედა. ამას გარდა, გეოგრაფიული პრინციპით არჩეულია გენერალური მდივნის სამი მოადგილე და ოთხი ვიცე-პრეზიდენტი. ვიცე-პრეზიდენტები არიან: ევროპისთვის — დუჟუ ვრჰოვაჩი (სერბია), ამერიკისთვის — პიერ ბარნეტ ფერანდი (კუბა), ოკეანეთისთვის — ლუსინა მედაინა დე ბერი



თავის ქვეყანაში. სერბი ვიცე-პრეზიდენტი დუჟუ ვრჰოვაჩი და ტუნისელი ვიცე-პრეზიდენტი იუსეფ რზუგა ამავე დროს მსოფლიო პოეტთა ელჩები არიან თავიანთ ქვეყნებში. მოძრაობას დღეს 140 ელჩი ჰყავს, ზუსტად იმდენი, რამდენი ქვეყნის პოეტებიც არიან მასში გაერთიანებული.

— **ელოდით თუ არა თქვენს დასახელებას მსოფლიო პოეტთა ელჩად საქართველოში?**

— არა, რა თქმა უნდა. არათუ არ ველოდი, აკი გითხარით, საერთოდაც ერთობ ზედამიწული წარმოდგენა მქონდა ამ ორგანიზაციაზე. ამიტომ, ჩემთვის სრული სიურპრიზი იყო, როცა ათანას დე ტრასისგან მიიღიე, მსოფლიო პოეტთა პრეზიდენტად ამირჩიეს და საქართველოში ელჩობა მინდა გთხოვო. საოცარი დამთხვევაა — ეს მიიღიე რომ მივიღე, ბუენოს-აირესში ვიყავი და მეორე დღეს სანტიაგოში მივფრინავდი, მოძრაობის დამფუძნებლის სამშობლოში. სამწუხაროდ, ლუის არიას მანსოს სანტიაგოში ვერ შევხვდი, ქვეყანაში არ იყო, მსოფლიო პოეტთა პრეზიდენტს კი თანხმობა ვუთხარი. მას შემდეგ საფუძვლიანად გავეცანი ამ ორგანიზაციას და მიმარჩია, რომ მისი მეშვეობით ბევრის გაკეთება შეიძლება ქართული პოეზიის პოპულარიზაციის და ქართველ პოეტთა საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის თვალსაზრისით. განსაკუთრებით მომწონს ის ამბავი, რომ თუმცა მსოფლიო პოეტთა ოფიციალური საიტი ოთხენოვანია — ესპანური, ინგლისური, ფრანგული და არაბული — თარგმნილთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის პოეტთა ლექსები აქ მათ მშობლიურ ენებზეც არის გამოქვეყნებული.

— **ამ საიტზე თქვენ, თქვენი ლექსები და ბიოგრაფია, და საქართველო საერთოდ, აზიაში მოქცეული რატომ?**

— სხვათა შორის, როცა ელჩობაზე თანხმობა მიხოვა, მსოფლიო პოეტთა პრეზიდენტმა მომწერა, რომ საქართველო ევროპაში იქნე-

თველოს ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციას ხელმძღვანელობდი ლოზანაში სამარანთან გამართულ მოლაპარაკებაზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღიარების თაობაზე, ჩემთან მოვიდა ჟაკ როგი — მაშინ ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტი და საქართველო აზიაშია თუ ევროპაში, იკითხა. ევროპაში-მეთქი, ვუპასუხე. სპორტული თუ პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, საქართველო მართლაც ევროპაა, როგორც, ვთქვით, იგივე თურქეთი თუ ისრაელი, ან კვიპროსი და ჩვენი სამხრეთელი მეზობლები, მაგრამ პოეზიასთან დაკავშირებით ეს ასე უეჭველი არ გახლავთ, მით უმეტეს საქართველოსთან მიმართებაში. იქნებ სწორედ აქ გადის ის ზღვარი, რომელიც კი არ მიჯნავს, არამედ აკავშირებს ევროპასა და აზიას? იქნებ სწორედ ამის გამოა, რომ საქართველო ევროპაც არის და აზიაც?

— **რა შედის თქვენი, როგორც მსოფლიო პოეტთა ელჩის მოვალეობაში?**

— ჩემი უმთავრესი მოვალეობაა, ვიზრუნო ქართველ პოეტთა ჩართვისათვის მსოფლიო პოეტთა მოძრაობაში.

— **და რა არის ამისთვის საჭირო?**

— საჭიროა ინფორმაცია ამ ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, რასაც ემსახურება კიდევ ეს ჩვენი ინტერვიუ და თავად პოეტთა სურვილი. უცხო ენებისა და ინტერნეტის მკოდნით ეს არ გაუჭირდებათ, მოძრაობის ოფიციალურ საიტზე (<http://poetasdelmundo.com/index.php>) თავად გაიგებენ გზას, სხვებს კი ჩვენ მივუხმარებთ.

— **ვინ „ჩვენ“? საკუთარ თავს გულისხმობთ?**

— არა მხოლოდ. ვფიქრობ, თანამაზრეობთ ერთად შექმნა ქართველ პოეტთა გაერთიანება, რეალური თუ ვირტუალური, ან ორივე ერთად, რომლის მთავარი ამოცანა ქართული პოეზიის პოპულარიზაცია იქნება მსოფლიო მას-

თამბაქოა ჭიდილი ყოველი დროისა და ეპოქის მახასიათებელია. საინტერესოა, როგორ გამოიხატა ეს დამოკიდებულება ხალხურ სიტყვიერებაში, როგორ იჩინა თავი სამყაროს პარადიგმულმა დიხოტომიამ მამათა და შვილთა ურთიერთობებში ქართული ფოლკლორული ნიმუშების მიხედვით? სწორედ ამას ვუთმობთ ჩვენს ძვირფას მკითხველს და ამ საკითხზე, სიმბოლურად, ორი თაობის წარმომადგენელი ვისაუბრებთ, მე და ჩემი ძვირფასი ლექტორი, მრავალი სტუდენტისთვის საუნივერსიტეტო წლების მამშვენივლი, ღირსეული ქალბატონი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფოლკლორისტი **თინა ჩხაიძე**.

გამოგიტყდებით, ამ საუბრისკენ ქართულ ფოლკლორში არსებულმა ერთ-მა უცნაურმა გადმოცემამ გვიბიძგა. მკითხველისთვის უფრო ნათელი და თვალსაჩინო რომ იყოს, რაზე ვსაუბრობთ, ამ გადმოცემას თქვენც გაგიზიარებთ:

*ერთ ქვეყანაში ჩვეულებად ჰქონიათ: მამა რომ დაბერდებოდა, გოდორში ჩასვამდნენ და კლდეზე დააგორებდნენ.*

*ერთი კაცი ჰხედავს, რომ იმისი შვილი გოდორსა წნავს.*

— რათ გინდა, შვილო, გოდორიო, — ჰკითხავს მამა.

— შენთვისა, მამა, უნდა ჩავსვა და დაგაგორავო.

— შვილო, ეყმანიკის გოდორი დანან, მალე არ გაცემდა, არ დაიმტვრევა და შენს შვილსაც აღარ დასჭირდება შენთვის ახლის დანვნა, ძველი გამოადგება შენს დასაგორებლადო. შვილი დაფიქრდა და დაანება გოდორის წენას თავი.

*მამამ ნახა, შვილი გოდორს აღარა წნავს.*

— რა ჰქენ, შვილო, დასნან თუ ვერაო? მაშინ ამ ლექსით უპასუხა შვილმა:

**ბევრი ვეცადე, ვერ დავნან გოდორი ეყმანიკისა, ვერც გამოვაბი მას ყური გამხმარი კონახურისა.**

*(ძველი საქართველო, ტ. III, 1913-14).*

ქალბატონი თინა იმედოვნებს, რომ ქართული ფოლკლორი მრავალფეროვნად შეგვეპასუხება ამ თემაზე. იგი ისე ააფორიაქა გოდორისა და მასთან დაკავშირებულმა ამბავმა, გადაწყვიტა, ვრცლად ეკვლია საკითხი და ამ უცნაური ჩვეულების თაურსაწყისი მიახლოებოდა. ნარატივში მას ძველი რიტუალების კვალის დაძებნის იმედიც აქვს... ნურც იმ ფაქტს დავივიწყებთ, რომ გადმოცემის ზნეობრივ დანიშნულებას, ყურადღება, პირველად, საოცრად მახვილი თვალისა და გონების, დედამ იაკობ გოგებაშვილმა მიაქცია და „დედა ენაშიც“ დაბეჭდა. ბუნებრივია, ამ ხალხური ნიმუშით ყრმათათვის ერთ-ერთი მცნების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ათვალსაჩინოებდა.

ისე კი, ზღაპრის ტრადიციული სანყისისა არ იყოს, არც ამ მცირე გადმოცემის მოაზრებულ გვიმხვლავ ხდომილების გეოგრაფიულ არეალს და ცდილობს, მკითხველი ორ სიტყვას დააჯეროს — „ერთ ქვეყანაშიო“... ეს ძალზე ზოგადი მინიშნება, მაინც კონკრეტული ლოკალისკენ მიგაქცევინებს გონების თვალს და ეს არცაა საკვირველი. მოზღვავებულად თავმოყვარე ქართველს, შესაძლოა, არც მოეწონოს, ჩვენს ქვეყანაში ასე უღირსად მოხუცს არავინ მოექცეოდაო და, საერთოდ, საქართველო ხომ არ წერია ამ ნარატივში, „ერთი ქვეყანა“ ნახსენები და ვინ გვაძლებს, რატომ ვჩემოლობთ მის ქართულობასო?! გასაგებიც იქნება ეს პატრიოტული გულისტკივილი, მაგრამ ისიც ხომ საგულისხმოა, იქნებ რა ამოძრავებდა ჩვენს წინაპარს, რომ ეს ამბავი დროისთვის გამოუსხლეთა და ჩვენამდე მოუტანია. მედალს ხომ ორი მხარე აქვს: ამ ამბის ერთი მხარე, შესაძლოა, ძალზე ყოფით-პრაგმატული იყოს, მაგრამ მეორე — ყველაფერს აღმატებული და პარადიგმულობამდე ამაღლებულიც კი... ვინ იცის... ვეძიოთ... „ბებერი მოგონებითა და ჯეელი მოლოდინითაო“ — ესეც ძველებს უანდერძითა...

**ს.ჯ.** — ქალბატონო თინა, ალბათ დამეთანხმებით, რომ ყოველ დიხოტომიას თავისი კანონზომიერებაც ახასიათებს. აქ ვერ ავცდებით ტერმინს — ამბივალენტობა, რაც ჩვენს შემთხვევაში, სიბერისა და ახალგაზრდობის პარადოქსულ წინააღმდეგობას, ასევე გატრიზაციასა და მონი-

ვნებასაც გულისხმობს.

**თ.ჩ.** — დიახ, სწორედ ესაა დიხოტომიის ხიბლი. ბევრი მოაზროვნე იჩემებს ბინარული აზროვნების აღმოჩენას, თუმცა მხოლოდ ითავისებენ იმას, რაც სამყაროს შექმნის ფუნდამენტში იმთავითვეა ჩადებული. გენიალური რუსი მეცნიერის, მიხეილ ბახტინის გამოკვლევა გავისხენოთ რაბლეა და შუა საუკუნეების ხალხურ კულტურაზე, შეუძლებელია მის მიერ ნახსენები ფეხმძიმე დედაბრების ტერაკოტული ფიგურების დავიწყება...

**ს.ჯ.** — ბახტინი ამ მოვლენას დროის სიმბოლოდ განმარტავს, არა? ეს მარად მშობიარე დროა... სიბერისა და ახალგაზრდობის განუწყვეტელი დინამიკა, გარდაამავლობა. სხვათა შორის, თუშეთში, სოფელ დართლოში, 72 წლის პლატო ქუჯაიძემ მამბო ერთი უჩვეულო ამბავი, რომელიც,

## „ბევრი ვეცადე, ვერ დავნან...“

ვფიქრობ, სახიერად ეთანადება ბახტინისეული ტერაკოტული ფიგურების არსსა და სიმბოლიკას: „ხალხმა მოიტაცეს ერთი მოხუცი ქალი. ერთი უფროსი კაცი ჰყვანდა და ვითომ იმავად აქორწინებდნენ. სოფელმა რო გაიგო, მეორე დღეს წავიდნენ დასახსნელად, შექმანეს ვირები, გადასხნეს თოფიარალი და ვითომ დაცემაზე წავიდეს. იქ კიდევ ერთად უსხედან ის ორივე მოხუცები. მივიდნენ თოფის სროლით, წავიდა-წამოიდა გართობა, ლხინი, თამაში და წამოიყვანეს ის ქალი უკან.“ ამავე თემატიკას ეხმიანება კიდევ ერთი რიტორიკული ფრაზა ხალხური საგანძურისა: „ოთხმოცი წლის ბებიაო, რათ არ გათხოვდებიაო?!“ ვფიქრობ, ჩვენს დრომდე მოღწეული თუ-შური სახიობისა თუ სიტყვიერების ეს გროტესკული ნიმუშები ოდესღაც არსებული რიტუალის ნახსლევებია, ისტორიული მეხსიერებითი ინერციით დღემდე ფრაგმენტულად შენახული, როგორც სიკვდილსიციოცხლის განუყოფლობის მარადიული მაცნე.

**თ.ჩ.** — აბა, ერთი შეწყვიტე ეს მიწყვიტე მშობიარე დრო, რა მოხდება... გაშეშდება ყველაფერი...

ერთ მანერს გავისხენებ „შოკური თერაპიის“ „ნეტარი“ დროიდან... რა დამავიწყებს, უნივერსიტეტში განცხადება რომ გამომოაკრეს, ვინც 50 წელს გადასცდა და სამსახურიდან თავისი წიგნით წავა, სტიპენდიას დაუწინაშეთო... იცი, სოფიკო, როგორ მინდოდა, ერთი კარგი გოდორი მეჩუქებინა ძვირფასი რეფორმატორებისთვის...

**ს.ჯ.** — ქალბატონო თინა, რადგან მკითხველი უკვე შევამზადეთ საინისოდ, რის გოდორზე უნდა გვესაუბრო, მოდი, ისიც ვუთხრათ, ვარიანტები თუ აქვს ამ გადმოცემას, თუ ოდენ ხალხური ნაკვეთია მორალიტეით? მახსოვს, ზუსტად ამ იგავს იმონებს ვახტანგ კოტეტიშვილიც მის მიერ შედგენილი ხალხური პოეზიის ნიმუშებში, მაგრამ გავრცობილად იქ არაფერია ნათქვამი ამ საყურადღებო თემაზე, არადა, ძალიან საინტერესოა კი იქნებოდა, ქართული ფოლკლორის ამავადარისთვის ჩვეული ორიგინალური შეფასება-მოსაზრებანი.

**თ.ჩ.** — ვარიანტებიც აქვს და ანდახად დაწერილი გამოხატულებებიც, სადაც გოდორი ფიგურირებს: „ისეთი გოდორი დანანი, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგესო; „როგორ გოდორსაც დანნავ, ისეთ გოდორში ჩაჯდებო“.

თუმცა დაუზბრუნდეთ გადმოცემას, რომელიც ყურადღებას იქცევს ოპოზიციური დაპირისპირებით: მამა და შვილი, წარსული და აწმყო, ძველი და ახალი; ძლიერი და სუსტი; მოხუცი და ახალგაზრდა; აქ კი ნამდვილად გამოგვადგება ძალზე საინტერესო და ყურადსაღები ეს შეგონებაც:

„ბერიკაციო, ნუ აჰყვები ყმანვილების ხუმარასა, ძაღლებია ყმანვილები, ჩამაგაცემენ ტუმარასა“, მაგრამ უკვე ძალა გამოეცლება ტერმინ „ამბივალენტობას“, რადგან სასტიკ ოპოზიციებთან გვაქვს საქმე. არა რუსთველისეული „მამა ყოველი შვილისგან ითავსებოდა“, არამედ მამის, როგორც ნარჩენის, სიძველის მოშორება.

სწორედ ეს აღძრავს ერთ ვარაუდს. დავეყრდნობი პოსტულატს, რომ ფოლკლორი არ ცნობს მეტაფორას იმ გაგებით, როგორიც ლიტერატურული სახის-მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი და თითქმის ყოველთვის ფაქტს ეყრდნობა, ყოფიერებით სუნთქავს. ამიტომ ხომ შეიძლება, ვიფიქრობ, იქნებ ამ გადმოცემაშია

შემონახული რიტუალური მოკვდინების კვალი, რომელიც გავრცელებული იყო მსოფლიოს ხალხებში და კვდომა-ალორძინების მითოლოგიას გამოხატავდა.

**ს.ჯ.** — ვითომ საფიქრებელია, რომ ოდესღაც ჩვენს ყოფაშიც მართლა არსებობდა? ეთნოგრაფები რომ არ დაგვეთანხმონ?

**თ.ჩ.** — შევეცადოთ, ვარაუდი ფაქტებით გავამყაროთ. უპირველესად, აღვნიშნავ, როგორი იყო მოხუცებულისადმი დამოკიდებულება კავკასიაში. ჟორჟ დიუმეხილი ნართებზე დანერილ გამოკვლევაში („*I nâdè i nêdè Yî i n è I èd i èt èt*“) შენიშნავს, რომ ნართები ჯოჯოხეთურად ძლიერი მეომრები არიან, დაძლეული აქვთ სიკვდილის შიში. სიბერე და უძლეულება მათთვის სინონიმური ცნებე-



ბია. ახალგაზრდა ნართები დასცილიან და აბუჩად იგდებენ ურიზმავს, რომელიც დღითიდღე ბერდება. ურიზმაგი ამას სავსებით ნორმალურად მიიჩნევს. ახალგაზრდები თათბირობენ, მოკლან ურიზმაგი, რომელსაც თავად ისე ეშინია სიბერის, რომ გადაწყვეტს, თავი მოიკლას.

უფროსების პატივისცემა ლაშქრობებში ახალგაზრდების მოვალეობა იყო, ოღონდ ერთი პირობით: სანამ უფროსი მეომარი ძლიერი და მაგარია. სიბერე კი, საზოგადოდ, ამ სასტიკი მეომრებისთვის ზიზღისმომგვრელია.

დიუმეხილი შენიშნავს, რომ არამართო ურიზმაგი, არამედ ყველა დიდებული ნართი — ხამიცი, სოსრიყო, ბათრაზი კვდება ბრძოლის ველზე ძალთა აყვავების ზენიტში და არა ბუნებრივი სიკვდილით.

**ს.ჯ.** — ჩვენი თინიბექიც ხომ „გულს უნადინოდ კვდებისა“, მეომარია და იმიტომ, სიკვდილი კი არა, ამქვეყნიდან უსახელოდ გადასვლა აშინებს და ამნუხრებს მხოლოდ...

**თ.ჩ.** — დიახ, ჩვენი მთის ფოლკლორი სასევა ასეთი მაგალითებით... ბარის ფოლკლორშიცაა მეომრული სულისკვეთება, ოღონდ გაშარჟებულ-გროტესკული სახით. აგერ, ვნახოთ უკვე ნახსენები, ყველა ფოლკლორისტის სამაგიდო ნიგინა — ვ. კოტეტიშვილის „ხალხური პოეზია“, ოზურგეთშია ჩანერილი ეს ტექსტი:

*„ბერიკაცი ვიყავი,  
ლაშქარს გამინვიესო,  
ხიდზე რომ ვერ გავედი,  
ფეხით გამათრიესო;  
ჩემი კაკუჭეულა ჯოხი  
თავზე დამამტვრიესო,  
გარეთ რომ ვეღარ გამოვწნდი,  
სახლში დამამწყვდიესო“.*

**ს.ჯ.** — ცხადი გროტესკია. გურულს სისხლში აქვს თვითგატრიზაცია. ვარაუდის გასამყარებლად, მგონი, ეს მოქმედი ანდაზებიც გამოგვადგება: „ბერიკაცი ბერდებოდა, ცხენს უკულმა შეჯდებოდა“; „ბებერი, შენი ჯარაო, დაბერდი — დაიშალაო“, „ბებერი რომ დაბერდება, მიუჯდება კერასაო, ნატეს პურს რომ ვეღარ შეჭამს, მთელს დაუნყებს ცქერასაო“. ძალზე გროტესკული პასაჟებია, მათი გაშლა შორს გავიტყუებს და ვინ იცის,

სათქმელსაც დაგვაშოროს, ისე კი, დაფიქრება და უთუოდ დაბეჯითებული კვლევა სჭირდება.

**თ.ჩ.** — დიახ, ბევრია ასეთი. ახლა კი პირველთქმულსაც მივუბრუნდეთ. სიბერესთან სასტიკი მიმართება ჩანს ხალხურ ლექსში „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“. ახალგაზრდობა-სიბერის ოპოზიციური შეპირისპირების რიტუალური კვალი ვლინდება საოცარ „ვეფხისტყაოსანში“, სადაც სიბერე ყველა „ჭირთ უფრო ძნელია“. ნიშანდობლივია, რომ პოემა, განახლების მითოლოგიით, ანუ სიბერის ახალგაზრდობით ჩანაცვლებით იწყება.

ცნობილია, კვდომა-ალორძინების ციკლში რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რიტუალურ მოკვდინებას, რასაც ჰომოპათიური მაგიით ხსნის ჯეიმს ფრეზერი თავის „ოქროს შტოში“. განსაკუთრებით საინტერესოა თავები: „*Àdâi âi fî ââdè*“; „*Î dâââf èâ nî ââdè âf-âââââf î fî âf âââââdèâdèf*“.

ჯეიმს ფრეზერის მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა ადასტურებს, რომ ახალგაზრდობის ძალმოსილება ვლინდება მეომრობაში, სექსობრივ პოტენციალში. მეფე-ქურუმის სისუსტეს პირველად მისი ცოლები ავლენდნენ, რაც უმაღვე ხდებოდა მისი მოკვდინების მიზეზი.

**ს.ჯ.** — ქალბატონო თინა, ვფიქრობ, ჩვენს საუბარში ლოგიკურად ჩაენერება იაპონელი რეჟისორის, სოჰეი იმამურას ფილმი „ლეგენდა ნარაიამაზე“... მკითხველისთვის შეიძლება მოკლედ ავხსნათ, რომ ფილმი ეფუძნება XIX საუკუნეში იაპონიის ერთ პატარა სოფელში შიმშილობასთან გასამკლავებლად შემოღებულ ტრადიციას, რომელიც, საზოგადოებისთვის უსარგებლო წევრების მოკვდინებას ითვალისწინებდა. სოფლის მცხოვრებნი ახალშობილ ვაჟებს მყისიერად ხოცავდნენ, ხანდაზმულები კი თავიანთ შვილებს ზურგზე მოკიდებულები აჰყავდათ ნარაიამას მთაზე და იქ ტოვებდნენ. ამ უკანასკნელი მგზავრობისთვის ემზადება ფილმის მთავარი გმირი, ქალბატონი ორინი, მაგრამ მის ვაჟს არ სურს რიტუალის აღსრულება, არ ემეტება დედა მთაზე დასატოვებლად. მაგრამ ქალის დაჟინებით ის მაინც შეუდგება ნარაიამას სასტიკ გზას. დედა შვილის ზურგზე მიმაგრებული მალღებდა სიკვდილის მთაზე. ფილმის ეს ფანტასტიკური პასაჟი უნათლესი ნიმუშია იმ დიხოტომიის, ბინარულობისა თუ ჩვენ მიერ არაერთგზის აღნიშნული მარადმშობიარე დროისა, რომლის კანონიკითაც, სიბერე-ახალგაზრდობა სწორედ ისე გარდამავლობს, როგორც ნარაიამას მთაზე მიმავალი, თითქმის ერთხორც ცქეული დედა-შვილი.

**თ.ჩ.** — მართებული პარალელია. შეუძლებელია, არ გაგახსენდეს მელეტინსკის შესანიშნავი გამოკვლევაც თომას მანის „ჯადოსნურ მთაზე“, სადაც მოხუცი პეპერკორნის ახალგაზრდა ჰანს კასტორპით ჩანაცვლებაში, სწორედ ფრეზერისეული მეფე-ქურუმის მითოლოგიის ღრმა შრეა მიგნებული.

რეალობაში კი, სინორჩე-სიბერის ოპოზიციამ უღმობელი „ლოგიკა“ დევს. თუ გავითვალისწინებთ დროის მითოლოგიურ ციკლურ განმეორებადობას, ეს უღმობლობა ცივილიზებულ ხალხთა ყოფაშიც არასდროს იცვლებია, რასაც ჩვენი ეპოქა და ახლახან ჩავლილი „შოკური თერაპიის“ სასტიკი ჟამიც ადასტურებს; ოღონდ დროის ბორბლის ტრიალი ერთ ჭეშმარიტებასაც გვამცნობს: ოპოზიციურ წყვილში არც ერთია უპირატესი: ახალგაზრდობა სიბერეა და სიბერე — ახალგაზრდობა, ანუ როგორც ერთი ხალხური ეპიტაფია გვატყობინებს:

*„როგორც შენ ხარ დღესა,  
ის ვიყავი მეცა;  
როგორც მე ვარ დღესა,  
ის იქნები შენცა“.*

**P.S.** საგარაუდოდ, ამ მარადიული ჭეშმარიტებისა და წრებრუნვის მეცნიერება მოახერხა ჩვენი ხალხური ნოველის უცნობმა გმირმა, მამის ხატებაში საკუთარი ბედის წარუვალობა რომ ეზმანა და ამიტომ ვეღარ დანნა „გოდორი ეყმანიკისა“ — მიხვდა, წერა-მწერელს გოდორი მისთვისაც იმთავითვე მოენნა...

**„ინტელექტი“ გამოსაცემად ამზადებს ვახტანგ ჯავახიძის „უცნობის“ მეხუთე, შვესებულ ვერსიას. გთავაზობთ ეპიზოდს მომავალი წიგნიდან.**

თბილისის ერთ-ერთ ოჯახში გახანგრძლივებული ბანქოს შემდეგ, ცნობილი ქართველი მხატვრის ახალგაზრდა ქვრივი, ევროპულად განსწავლული ლამაზი ესტონელი ქალბატონი, შინ ბრუნდებოდა. ქალბატონმა, რომელსაც თავისი კომპანიონი ვეტილი აცილებდა, გასტრონომისაკენ გაუხვია, მაგრამ კარი ცხვირწინ მიუხურეს — გვიანია და ვიკეტებით. მოულოდნელად გვერდით უცნობი წარმოსადეგი მამაკაცი ამოუდგა, გასტრონომის კარი ჯიქურ შეაღო და შეუტია:

— პატივი ეცით ლამაზ ქალს!  
„ლამაზმა“ იყიდა, რაც სურდა, გამოვიდა და უცნობს მადლობა გადაუხადა. მერე თავის კავალერს მიუბრუნდა და უსაყვედურა, როგორ გულგრილად შემომყურებდიო.

— იცი, ვინ იყო ის უცნობი? — ჰკითხა კავალერმა.  
— ვინ?  
— ვინ და, საქართველოს პოეტების მეფე.  
— გალაკტიონ ტაბიძე?  
— დიახ!

ასე გაიცნეს თავიანთი მომავალი მეორე მეუღლეები ოლგა დარიუსმა და გალაკტიონ ტაბიძემ.

მხატვრის ქვრივი თვითონაც ხატავდა. გერმანულ კლასიკოსებს გერმანულად კითხულობდა. გერმანულადვე უკითხავდა გალაკტიონს გოეთესა და ჰაინეს ლექსებს და პოეტი ლექსის მუსიკას უსმენდა. დიკენსის „დიდი იმედები“ კი ერთხელ კიდევ რუსულად წაუკითხა. გალაკტიონს სიყმანვილიდანვე უყვარდა ეს რომანი — ღარიბი ობოლი ბიჭის ამბავი და „დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება“.

1938 წლის 5 ოქტომბერს ოლია ოკუჯავამ იაროსლავლიდან წერილი გამოუგზავნა გალაკტიონს და სთხოვა: ახლახან გოგოლის „მკვდარი სულების“ 1937 წლის აკადემიური გამოცემა წავიკითხო და შენც აუცილებლად მოიპოვე ეს წიგნიო. სამწუხაროდ, გალაკტიონი ოლიას წერილებს ვერ პასუხობდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ოლიას რჩევას უყურადღებოდ არ სტოვებდა.

და აი, სხედან ოლგა იურენა და გალაკტიონი და რუსულ რომანს კითხულობენ, თანაც გოგოლის სტრიქონებს შორის ქართულ კვალს დაეძებენ, აღრიცხავენ და ამონერილ ციტატებს კომენტარებს ურთავენ. ამჯერად კითხულობს და რუსულ-ქართულად წერს გალაკტიონი. ოლგა იურენა ეპიზოდურად ჩაერთვება ხოლმე. ორთა შენიშვნებს გალაკტიონი ფრჩხილებში ჩასმული ინიციალებით გამიჯნავს: (გ.ტ.) და (I. P.), ანდა პირდაპირ მიუთითებს:

— როდესაც ამ სტრიქონებს ვკითხულობდი, ო. ი.-მ დაამატა.  
— ო. ი. სიცილით უმატებს.

მაინც ყოველთვის ზუსტად ვერაა დაცული საავტორო უფლებები და ამიტომ ეს ტექსტი ერთობლივ ოჯახურ შემოქმედებად უნდა ჩაითვალოს.

რუსულად წაწერი მნიშვნელოვნად აღემატება ქართულს და მაინც ამ მიმოხილვას მთლიანად მშობლიურ ენაზე წარმოვადგენთ (გოგოლის ციტატები თარგმნილია დავით კასრაძის მიერ).

რამდენიმე წლით უკან უნდა დავიხიოთ: 1934 წელს გალაკტიონმა საერთო რეჟელის ყდა დაასათაურა: „პოეტი და ჟურნალისტი პეტრე ივანეს-ძე თ-დი შალიკაშვილი. მასალები ბიოგრაფიისა და ლიტერატურული პორტრეტისათვის. მასალების შეგროვება დაწყებულია 1934 წლის 19 ივლისს, ქ. ტფილისს“. გალაკტიონი რვეულის მეთექვსმეტე გვერდამდე აგრძელებს ძიებას: მოუძიებია და შეუსწავლია რუსული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიაში შემონახული მასალები ქართული წარმოშობის პოეტსა და ჟურნალისტზე შალიკოვზე, და როდესაც ქართული გვარების გადარუსულებაზე საუბრობს, აღნიშნავს:

— ეს გარემოება გვარშეცვლილი ქართველების თვალში ეჩხირებოდა თვით რუსის საზოგადოებას და მწერლობასაც კი. გოგოლმა პირველმა შეამჩნია ეს.

როგორც ჩანს, გალაკტიონმა კვლევა მომდევნო წლებშიც გააგრძელა და ამ რვეულში ცალკე მეექვსე ეპიზოდად შეიტანა „მკვდარი სულების“ ერთობლივი ნაკითხვის ეპიზოდი, თანაც შენიშვნები ალაგალაგ განავრცო კიდევ:

— გოგოლი თავის ნაწარმოებში „I äððã ä äðð è èðð ì î ï ð æ è ð ý × è ÷ ð ï ää“ ასწერს რა ბალს გუბერნატორთან, ახსენებს აგრეთვე ქართველ თავადს ჩიფხაიხილიდზევს-ს. ეს ჩიფხაიხილიდზევი იმყოფება ქალაქში (რომელზედაც გოგო-

**ვახტანგ ჯავახიძე**

**თავადი ჩიფხაიხილიძევი და ბენერალი ბაბრატონი**



ლი ირონიულად შენიშნავს: არა, ეს გუბერნია კი არ არის, ეს სატახტო ქალაქია, ეს პარიჟია!). „ცეკვა-თამაში უკვე გახურებული იყო. — სწერს გოგოლი, — თავგამეტებით მიჯირითობდნენ ფოსტმისტერის მეუღლეს, კაპიტან-ისპრავნიკიც, ცისფერფრთიანი მანდილოსანიც, თეთრფრთიანი მანდილოსანიც, ქართველი თავადი ჩიფხაიხილიდზევი, პეტერბურგელი მოხელეც, მოსკოველიც, ფრანგი კუკუც, პერსუნოვსკიც, ბერებენდოვსკიც (აი ტერმინოლოგია, უკეთესს ვერ მოიგონებ — გ.ტ.) — ერთი სიტყვით, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და თავდანყვებით დაჰქროდა... „ერიჰა! აირია მონასტერი და ესაა“. — სთქვა ჩიჩიკოვმა და ცოტათი უკან დაიხია.

ამ ფრაგმენტს ორენოვანი შეკითხვა-პასუხი ერთვის:

— საიდან გამოიგონა ასეთი გვარი გოგოლმა, ძალიან მსგავსი ქართულისა? არიან ასეთი გვარები: ჩიფხაიძე, ჩოფხაიძე, აფხაიძე და სხვ. *Ñi ÷è ðè, ðñ ðèè.*

მართლაც, საიდან გამოიგონა გვარების დიდოსტატმა ეს გადარუსებული ვითომ ქართული, გართულებული და გახან-

გრძლივებული? აქ ირონია და პაროდია ერთმანეთს ენაცვლება. თუმცა გოგოლის რუსული გვარებიც ხომ კონტექსტში იკითხება და არც სარკაზმი აკლია.

გავყვეთ გალაკტიონს და გავაგრძელოთ:

— მაშა, როგორ შეიძლება დიდი ბალი, თუ იქ ქართველიც არ იქნა. ჩიფხაიხილიძევი, შალიკოვი; ქართველებით გატაცება მაინც და მაინც არ ახასიათებს რომანის ერთერთ გმირს საბაკევიჩს, მაგრამ ამ საბაკევიჩსაც კი ბაგრატიონის სურათი უმშვენებს სახლის კედელს: „ჩიჩიკოვი დაჯდა და შეხედა კედელსა და ზედ გამ-ნკრივებულ სურათებს: ყველა სურათზე

ერთხელაც გავყვეთ და გავაგრძელოთ: — როგორ შეიძლება, თუ იქ ქართული ნოსიცი არ იქნა: აი, თვითონ ჩიჩიკოვის „ბრიჩკა“, სახელგანთქმული „ბრიჩკა“ იმავე „მკვდარ სულებში“: „სელიფანმა შოლტი გადაუტყალაშუნა, მას გვერდით მიუჯდა პეტრუშკა, რომელიც აქამდე ეტლის საფეხურზე იდგა. ჩიჩიკოვი მოხერხებულად მოკალათდა ქართულ პატარა ხალიჩაზე, ზურგს უკან ტყავის ბალიში ამოიდო, ცხელ-ცხელი კვერეულები გვერდით მისწია, და ეტლიც შეუდგა ძველებურად ხტუნვა-ჯანჯლარს“.

აქ ქალბატონმა ოლგამ გაიცინა: — ეტყობა, მაშინ ყველაფერი ქართული მოდაში იყო, თავადი ჩიფხაიხილიძევი, ქართული ნოსიცი და თავადი ბაგრატიონიც.

გოგოლის ციტირება დასრულდა. ორი მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი თავადის მოულოდნელმა და უცნაურმა გვარმა დაიმსახურა:

— ჩიფხაიხილიძევი! თავადის გვარია, ვერაფერს იტყვი! სხვაგვარად ქართველ ვერც წარმოიდგენ, თუ არა ჩიფხაიხილიძე-ად. — ეს შენიშვნაც ოლგა დარიუსს ეკუთვნის.

„მკვდარი სულების“ სიუჟეტი გოგოლს პუშკინმა უკარნახა, გოგოლმა კი ამით მხოლოდ გამომწვევი გვარი გადმოუგდო ანკესივით და ესეც საკმარისი აღმოჩნდა: ჩვენმა ტანდემმა ფანტაზია თავის ნებაზე მიუშვა და გაუტია: ახალი რომანის ქარგა შემოგვთავაზა:

— ჩიფხაიხილიძევი — ცეკვის ოსტატი ალბათ ცისფერფრთიან დამას ეცეკვებოდა. თავადი, თანაც ქართველი, ცხადია, ქალებს აგაჟებდა. ნეტა, ჩერკესკა თუ ეცვა? ხომ არ შიმშილობდა? ხანჯალი ეკიდა თუ ფრაკი ემოსა? საინტერესოა, გამოკვლეულ უნდა იქნას მისი გენეალოგიური შტო, წარმომავლობა. უსათუოდ დასავლეთ საქართველოდან იქნებოდა. მაგრამ რა ესაქმებოდა საგუბერნიო ქალაქში, ეს სრულიად უცნობია. სიმკვირცხლით, მიხრა-მოხრითა და ქცევი-თაც ეტყობა, დასავლეთ საქართველოდან რომაა, თანაც იმერულად უქცევს. ცხადია, გუბერნიაში ბიძასთან დაყვარდა (ბიძა კი საპატიო პიროვნება გახლავთ) და ბიძამ არ იცის, როგორ დაასაქმოს. არადა, ამას საქმე სულაც არ აინტერესებს. საღამოობით დროს მეჯლისებში, ქეიფებში და ბანქოს თამაშში ფლანგავს. მაშამ, რა თქმა უნდა, ფულები ან მემკვიდრეობა დაუტოვა და ახლა ყველაფერს ანიავებს. ეტყობა, ლექსებსაც უწერს ალბომში მანდილოსნებს, როგორც თავადი შალიკოვი. ბიძამ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, სამხედრო სამსახურში მოეწყო, ამას წყალი არ გაუფა...

— ეს შენიშვნები ოლგა იურენასი საგულისხმოა თ-დის შალიკაშვილის ვინაობის გამოსარკვევად. — დასძენს გალაკტიონი. ჩვენ კი უკვე დავინტერესდით და ჩიფხაიხილიძევის დეტექტივის გაგრძელებას მოველით. მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი“ ახლახან აკრძალეს და ქართველი მკითხველი ახალ ავანტიურისტს ელოდება. მაგრამ გალაკტიონის პროზაული ტექსტების უმრავლესობა იწყება და არ გრძელდება და აღარ სრულდება. ერთი კი ცხადია: ოლია ოკუჯავას რომ დასცლოდა და სახლში დაბრუნებულიყო, დარწმუნდებოდა, როგორი წარმატებით შეასრულა გალაკტიონმა 1938 წლის 5 ოქტომბერს შორეული იაროსლავიდან მიცემული საშინაო დავალება.

— საკმარისია, სიტყვა გადაუკრა და გოგოლი ისეთ გვარს მოიგონებს, რომა! — გალაკტიონის ეს ქათინაური საყველთაოდაა აღიარებული. აღიარებულია ისიც, რომ ასეთი ალღო შემოქმედის პოზიციასაც გამოხატავს და ამდენად რუს მწერალს მხოლოდ და მხოლოდ რუსული გვარების გატრიზავება მიეტყვება. მაგრამ, როგორც გალაკტიონმა მიგვანიშნა, ქართული გვარების „გადაგვარება“ — „თვალში ეჩხირებოდა თვით რუსის საზოგადოებას და მწერლობასაც კი“.

— გოგოლი კი არ წერდა, ხატავდა. — შენიშნა ბელიკივი.  
1918 წელს გრიგოლ რობაქიძემ რუსულ

È Ð ññ ï ï ï ï ññ ãã ï ï ÷ è ï ãã.





ენაზე გამოაქვეყნა სტატია — „Kóáèç Æ Æ èÿ“, ხოლო 1921 წელს ნიკოლოზ ბერდიაევი დაწერა:

— გოგოლმა, როგორც მხატვარმა, გაასწრო ხელოვნების უახლეს ანალიზურ მიმდინარეობას, რომელიც ხელოვნების კრიზისმა გამოააშკარავა. მას აღმოაჩნდა სინამდვილის იმგვარი აღქმა, რომელმაც კუბიზმთან მიიყვანა. გოგოლის მხატვრულ წარმოსახვაში შეიმჩნეოდა კუბისტური დანაწევრება ცოცხალი ყოფისა. გოგოლი უკვე ხედავდა იმ საშინელებებს, რომელიც მხატვრის თვალთ დაინახა პიკასომ. მაგრამ გოგოლმა შეცდომაში შეგვიყვანა, ვინაიდან თავისი დემონური ხილვები სიცილით შენიღბა („Àñè ðñññ é ðáñ èÿ èé“ — ეს წიგნი თენგიზ აბულაძემ მისახსოვრა 1992 წელს).

ბერდიაევის ამ დეფინიციამ ჩანს პროვოცირებული და დეფორმირებული შტრიხები, რომლებიც გოგოლმა პიკასოზე ადრე შეამჩნია და რომლებიც ქართული გვარის „სიცილით შენიღბულ“ რუსულ გრაფიკაში აისახა: ჩიფ-ხაი-ხილი-ძევი!

ეტყობა, გამხდარი, გაღუული და დავინროვებული ბაგრატიონის პორტრეტიც კუბიზმის გეომეტრიულ განზომილებათა „დემონური ხილვებით“ გარდაისახა და კიდევ უფრო დაჩივდა ბერძენი სარდლების შთამბეჭდავ გამოსახულებათა გვერდით. არადა, დენის დავიდოვმა, რომელიც ბაგრატიონის ადიუტანტი გახლდათ, სწორედ ჰომეროსის გმირებს შეადარა თავისი ფავორიტი:

Í , ðéí úí Æ ÿ í Æ áí é, ðñ , í ú ðí ú é Æ áí ÿð, Õí , Æ éí ñí ñáí èí ðí æáàþ ù èé á í í èéð Ì í Æ ááèè Æ ðáá Æ í ðáá -óáñðááí í ù á èéèèè, Áí æáú Æ í Æ ðè -áñèè, Áááðáðèí í ááèèèèè!

მეორე ადიუტანტი ნ. გოლიცინი ბაგრატიონს „რუსეთის მხსნელს“ უწოდებდა და ადიუტანტზე უკეთ ვინ შეიძლება იცნობდეს სარდალს?!

— რუსეთის ყველა ომის გმირი, — ასეა განმარტებული იმავე დავიდოვის ლექსების კრებულში.

— ადამიანი, რომელსაც აღმერთებს არმია და რომლის იმედი აქვს მთელს რუსეთს, — ასე კოლევა გენერალი ალექსანდრე ერმოლოვი ახასიათებდა.

— იყო ოდესმე რომელიმე გენერალი უფრო კრიტიკულ მდგომარეობაში და გამოვიდა რომელიმე სამხედრო პირი ამგვარი მდგომარეობიდან მეტი პატივით, ვიდრე იგი? — იკითხა მეცხრამეტე საუკუნის რუსმა მემატინანემ ოკუნემა.

— ჯარს ის უყვარდა ისე, როგორც არავინ. — ამას უკვე მეოცე საუკუნის რუსი მეთვრამეტე ევგენი ტარლე წერს.

დაბოლოს: ლევ ტოლსტოის „ომო და მშვიდობის“ ეპიზოდები და განსაკუთრებით — მეორე ტომის პირველი ნაწილის შესახებ თავი — თითქოს საგანგებოდ გოგოლის დისონანსის გასაბათილებლად დაწერილი: სამასი მოსკოველი არისტოკრატის საზეიმო შეხვედრა „გმირთა გმირ“ ბაგრატიონთან და ამ დღე-სასწაულის უკანასკნელი აკორდი — ამღერებული კანტატა:

Õí àòí ú ðí ññáí áñáí ðáí í í ù, Òðááð ñòú áñòú í í ááá çáèí á Áñòú ó í áñ Áááðáðèí í ù, Áóáòð áñá áðááè ó í í á

ოლია ოკუჯავა 1938 წელს სწერდა გალაკტიონს, განსაკუთრებით ლირიკული ნიაღვრები მომწონს „კვადარ სულეში“, ხოლო ორი წლის შემდეგ გამოგზავნილ წერილს ეპიგრაფად ლირიკული ფრაგმენტი წარუშლვარა რომანიდან — ქებათა ქება გზისა.

გალაკტიონმა თარგმნა და „აბსოლუტური ჭეშმარიტება“ უწოდა ედგარ პოს მაქსიმას — „კარგმა მწერალმა დასაწყისშივე იცის თავისი ნაწერების უკანასკნელი სტრიქონი“.

მოდით, ჩვენც ოლიას დავუჯეროთ, გალაკტიონს დავუჯეროთ, ედგარ პოსაც დავუჯეროთ და გოგოლის ნიაღვრებიდან უკანასკნელი ავირჩიოთ, რომელიც ასრულებს კიდევ რომანს, მაგრამ მანამ არა-ლირიკული ნიაღვრის ერთი უფლება ჩვენც გამოვიყენოთ.

ალბათ გახსოვთ გალაკტიონის მიერ ამონერილი პეტრე შალიკაშვილის ეპიგრამის ერთი სტრიქონი („È Ðí ññ áí í áú ñèááð í í æèí ááð“): ეს კატრენი შალიკაშვილმა დენის დავიდოვს დაუწერა. დენის დავიდოვმა ოთხსტრიქონიან ეპიგრამას რვასტრიქონიანით უპასუხა და საკუთარი თავი იგულისხმა:

Í á æáñ áí éí ù èáðèòí é Èóðð, Ñí áñááð ðí àèí ó éí ÿçüèá.

— 1826 წელს საქართველოში სპარსელები შემოიჭრნენ, — წერს იგივე დავიდოვი კვლავ მესამე პირში დაწერილ თავის თავგადასავალში, — იმპერატორმა დენისოვი აირჩია ლირსეულ მოქმედ პირად რუსეთის იმ ერთადერთ სასაზღვრო ზოლზე, რომელიც ჯერ კიდევ არ ახმაურებინა დავიდოვის ცხენის ფლოკვებს.

მაშასადამე, გენერალი დავიდოვი შალიკაშვილს აყვედრის — „სამშობლო გადაგიჩინე“.

დენის დავიდოვმა ლექსი მიუძღვნა თავის ყოფილ შეფს — ბაგრატიონს, დაწერა საინტერესო მოგონებები ბაგრატიონზე, 1839 წელს მისი ინიციატივით ბაგრატიონის ნეშტი სოფელ სიმბიდან ბოროდინოს ველზე გადაასვენეს, — მაგრამ დავიდოვს ერთხელაც არ წამოსცდენია, რომ ბაგრატიონმა მას რამდენიმეჯერ გადაურჩინა რუსეთი, რომ ბაგრატიონმა თავიც კი შესწირა დავიდოვის სამშობლოს, რომ პეტრე ბაგრატიონი გახლდათ სამეფო გვარის ლირსეული მემკვიდრე, ვახტანგ მეექვსეს ძმის იესეს შვილის შვილი, და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, როგორც დავიდოვი წერს, — სამხრეთით თურმე არსებობდა — არა ქვეყანა და არა ხალხი — არამედ „რუსეთის ერთადერთი სასაზღვრო ზოლი“, რომელიც რუსულ ცხენს ჯერ კიდევ ვერ დაეტოვრა.

სულ ახლახან ჩვენ ვახსენეთ საქართველოსა და კავკასიის მეორე „გადამრჩენელი“ — ბაგრატიონის კოლეგა-გენერალი ალექსანდრე ერმოლოვი. ერმოლოვის ხსენებისას მესხიერებაში უმალ ამოტივტივდება პუშკინის აგრესიული ტაეპი ეპილოგიდან პოემისა „კავკასიის ტყვე“:

Ñí èðèñú, Èááèàç: èááð Áðí í èí á!

გენერალმა ერმოლოვმა — ჯერ საქართველოში და შემდეგ მთელს კავკასიაში რუსეთის კორპუსის მთავარსარდალმა და უმკაცრესმა სამოქალაქო გამგებელმა — სავესებით გაამართლა პუშკინის მუქარა. პოემის ამ ეპილოგში „მრისხანე კავკასიის“ „ველური ყვავილები“ ფონზე მოხსენიებულია:

Èçí áí ñ í, Æ ááèú ðí ññèÿ Í á èí í áí ñòèðáèú ñ ñ áððéí í è.

და რუსეთის პირველი პოეტის მიერ განაჩენივითაა გამოცხადებული და გაცხადებული:

È áí ñí í ð òí ðíèááí ú é -áñ, Èí æáá, í í -óÿ áí é èðí áááú é, Í á í ááí áóþ ù è é Èááèàç Í í áúÿèñÿ í àò í ðèè ááóæááú é. \* Áñá ðññèí ò ó í á -ó í í ááèáñòí í.

1937 წელს გამოცემულ პუშკინის საიუბილეო ტომში შეტანილია „კავკასიის

ტყვის“ ქართული თარგმანი და, გასაგები მიზეზის გამო, მოკვეთილია ეპილოგი. ხოლო 1975 წელს დაბეჭდილ პუშკინის თხზულებათა ცხრაასგვერდიან კრებულში, კვლავ გასაგები მიზეზის გამო, პოემა საერთოდ არაა შეტანილი. იმავე 1937 წლის წიგნის წინასიტყვაობაში კი ფილიპე მახარაძე გვარწმუნებს, რომ „პუშკინს გაგიჟებით უყვარდა კავკასია“!

— Èþ áèþ ÿ Èááèàç! — ეს ტაეპი — თხუთმეტი წლის რუსეთის რიგით მეორე პოეტმა — თავის პირველსავე სამსტროფიან ლექსში — სამჯერ გაიმეორა. ჩვენ კი ლერმონტოვის გვიანდელი ტაეპი გვახსოვს მწარედ, ძაღლის ნაკბენივით გვახსოვს პოემა „დემონი“:

Áóááèè ðí áèèá áððéí ù!

ეს ტაეპი ქართველებმა ასე „ვთარგმნეთ“ ანუ „გავნაღმეთ“:

მხდლურად გარბოდნენ თავადის ყმები.

დავამატოთ ყოველივე ამას გოგოლის მიერ გამასხარავებული ქართული გვარი და ბაგრატიონის დაკნინებული პორტრეტი,

გავიხსენოთ გოგოლის განზრახვა, რომანის შთამავლებელ პუშკინს რომ გაუზიარა, — „მინდა ამ რომანში ცალმხრივად მაინც ვაჩვენო მთელი რუსეთი,“ —


და შევადართო დღევანდელ რუსეთს, — რუსეთს, რომელსაც ხელში წყალბადის ბომბი უჭირავს და კაცობრიობას აშანტაჟებს, რომელსაც ყველა ერიდება, რადგან ყველაფერზე წამსვლელია, და ყველა აღმაცერად შესცქერის, რადგან ყველაფერს იკადრებს და პასუხს არაფერზე აგებს, —

და დავასრულოთ ეს ინტერმედია იმ უკანასკნელი ლირიკული ნიაღვრით, რომლითაც დაასრულა გოგოლმა „მკვდარი სულები“:

ოლიას მიერ მოწონებული რომანის გმირის კარეტა გოგოლის მიერ მოწონებულ გზაზე „ყველაზე სწრაფად“ მიქრის და არ ჩერდება თუ ვერ ჩერდება თუ ველარ ჩერდება:

გეგონება, ეს სტრიქონები გუშინ დაინერა ან დღეს დაინერა:

— შენც ხომ ამ ტროიკასავით ყველაზე სწრაფად მიქრხარ, რუსეთო? კვამლივით იკვამლება შენს ფეხქვეშ გზა. ზანზარებენ ხიდები. უკან იტოვებ ყველას და ყველაფერს. შეჩერდა განგების სასწაულით განცვიფრებული შემსწრე: ეს რა ცის წყრომა მოგვევლინა? რას ნიშნავს ეს თავზარდამცემი სრბოლა?.. საით მიქრხარ, რუსეთო? მიპასუხე! პასუხს არ იძლევა. უცნაურად წკრიალებს ზანზალაკი. ქარაშოტივით გრიალებს დაფლეთილი ჰაერი. მიქრის და უკან რჩება ყოველივე, რაც კი ქვეყნად არსებობს. გზას უთმობენ და აღმაცერად შესცქერაან სხვა ხალხები და სახელმწიფოები.



შვილიშვილი!

შენს სუნთქვაში ჩემი სუნთქვის მეოთხედი ურევია, შენთან ერთად ჩემი გენი უკვდავი და უღვრია!

შენს ღიმილში, ცხადად ვხედავ, ღიმილია მამაჩემის, ალბათ, - მისი მამისაც და სხვა რამდენი დანარჩენის!..

შენს ტირილში დედაჩემის დედის დედის ცრემლებია, სწორედ, სწორედ ეგ ცრემლები შენი სულის მცველებია.

ნუ მომლოდეს სიხარულად, რაც ბოლო დროს არ მეშვება - ჩემს ოთახში ყივჩაყივით შენი შემოთარეშება!

ნეტარება - სრულყოფილად, არა - პატარ-პატარებად - შენი ძილის ყარაულში თეთრად ღამის გატარება!

წყაროვ უთქმელ სიამისა, საგანძურო, შე სადავო, უღამაზეს დედისა და ღამაზ მამის შესართავო!

რამდენს გვინდა შენი სიტბო, ციციქნა მხარი ვიგრძნოთ მხარში! ისე ვატყობ, ცარცის წრეში ჩაგაყენებ ცოტა ხანში!

ცოცხალ რიგში ველოდებით, რა სიტკბოსაც შენ არიგებ, სიბერესთან(!), სიკვდილთანაც(!), ყველაფერთან შემარიგე!

შენს ძაღვებში უხსოვარი წინაპრების წვეთი არი, უსასრულო ყოფილიყოს ემაგ წვეთის ხეტიალი!!!..

\*\*\* გასაორებელი თუ გასაოცებელი ინვის ერთი სასანთელი და გულს იმედს უნთებს, ცისკენ მიაქვთ ამბები გასაოცებელი ჩემი ოხვრით გაბერილ საჰაერო ბურთებს...

ფიქრში

ფიქრში არავის გვეშლება მღერა, ფიქრში არავის გვებმება ენა, ფიქრში არავის არ გვიჭირს ფრენა, რაც ფიქრში გვიჭირს, - ესაა რწმენა!..

თუ არ გპირდებათ...

დგას და ცივდება ჩემი ფინჯანი, გულსაც თანდათან სიტბო სცილდება, ღმერთს არ სჭირდება ჩემი პირჯვარი, თუ ის პირჯვარი მე არ მჭირდება...

დუმით ანუ ყვირით-ხვილით ბრუნავს სანუთრო, თანაც ბინდდება, მე არ მჭირდება შენი ღიმილი, თუ ეგ ღიმილი შენ არ გჭირდება.

წაირეცხება ჭორის გესლები, როს დაფარული გამოჩინდება, მე არ მჭირდება ჩემი ლექსები, თუ ეს ლექსები თქვენ არ გჭირდებათ...

პათი... ორი... პათი...

დრო მხოლოდ ერთი რამეა - სიცოცხლის ქურდობაცაა, სიცოცხლე ორი რამეა - მინაცაა და ცაცაა.

ერთი და ორი - სამია, თუმცა, სიმართლე ისაა, სიკვდილი ერთი რამეა - სიკვდილი მხოლოდ მინაა...

პითა ცხენსა, ნაპარავსა

არარსებულს შერევა არსებული და წარსულის უფსკრულებში დანთქმულა, იყო ქვეყნად სიყვარულით სავსე გული, რომელზედაც არაფერი არ თქმულა...

ია სულაბერიძე

თითქმის ცხადი, მაგრამ მაინც შეფარული (და დღეები გადიოდნენ ზღაპრულად...), იყო ქვეყნად ერთი კარგი სიყვარული, რომელზედაც არაფერი არ თქმულა...

ლექსებად და რომანებად დაწყობილა, ფილმებად და სპექტაკლებად დადგმულა, მე მაფიქრებს ის ვნებები, რაც ყოფილა, და რაზედაც არაფერი არ თქმულა...

დალევია სიტყვა ენას, სიტყვაუღვეს, და სიჩუმეც საყვედურად გაისმის, ეს ცრემლები - იმ საოცარ სიყვარულს, რომლებზედაც არაფერი არ ითქმის...

და ჩვენს ირგვლივ სუფევს ჩუმი სინანული, ან მუსიკის, ან ფერების, ან რითმის, რომ ამქვეყნად არის ბეივერი სიყვარული, რომლებზედაც არაფერი არ ითქმის...

სიზრქნე სიურჩისა

ძვირფას ნიუტონს დუელში ვინვევ, რადგან ჩემშია სიურჩის სიზრქნე - მინაზე ვდგავარ და ცისკენ ვინვევ მიზიდულობის კანონის ჯიბრზე...

ვიღაც საოცარს

მურმანს

ნავა ვილაც საოცარი და წარუშლელს დაგვიტოვებს; რა ვქნა, თუკი სევდით ვხვდები ბოლო წლების აგვისტოებს?..

ოჰ, ის ცელი, მოუცლელი, - უცრემლოდ რომ არვის ტოვებს... რა ვქნა, თუკი ცრემლით ვხვდები ბოლო წლების აგვისტოებს?..

გაიღუნა სრულად კალო, სული აჰყვა ალვის რტოებს და მას მერე უნებლიეთ სევდით ვხვდები აგვისტოებს...

შეხვდებოდა შესახვედრებს, შეხვდებოდა თავის ტოლებს, მე კი მლაშე ცრემლით ვხვდები ბოლო წლების აგვისტოებს...

ეს ზაფხულიც ემზადება გასასვლელად - ნაპირს ტოვებს... რა ვქნა, თუკი სევდით ვხვდები მზიან, ზღვიან აგვისტოებს?..

ქურდობაზე, პოეტაზე, და ქურდ პოეტაზე

ეს პოეტები! - ოჰ, ეს ქურდები! ქურდი ქურდია - ყველა მიჰქარავს! აგე, სავსეა ჯიბე ხურდებით, მაგრამ მე ხურდას როდი ვიპარავ?! -

ქურდობა უნდა ღირდეს ქურდობად და უნდა დარჩეს შეუნიშნავი! - მე ამ სიმართლეს განვიდით ხუმრობად, მე, ერთი ქურდი და ჩხუბისთავი...

ეს პოეტები! ქურდის ქურდები, ამ ძველ ხელობას რომ არ ვეღვევით და წიგნებიდან თავს ვუბრუნდებით გამარჯვებული რომელივით...

ცოტას ვხალისობთ, ხშირად ვლონდებით, სულს, გამოშვლებულს, ლექსით ვიფარავთ... სავსეა ცხვირწინ ჯიბე ხურდებით, მაგრამ მე ხურდას არ მოვიპარავ!

მეუა შიშველია

ცხადია, იტყვის ვინმე, რომ შიშველია მეფე, ყოველდღიურად ვითმენ ლიტერატურულ ბლეფებს.

საინტერესო რამ არს პატივცემული ბლეფი, მდაბლად აძლევენ სალამს უსმენონი და ბრმები.

სულაც არა ვთვლი შტერად, ვინ უფრო ვგავართ დებილს -

მე, თუ ათასჯერ უღერად-სახელიანი ბლეფი? -

პოპულარული ბლეფი, „ნათარგმანები“ ბლეფი, დაფასებული ბლეფი, შემფასებელი(!) ბლეფი?..

ნუმპეში ნასროლ ქვისგან მხედება ცდუნების შხეფი, მის ჩამოხანას ვრისკავ, ვსუფთავდები და ვშრები...

ლექსში - ჩამწიფდნენ ბლები, ლექსში - იყმულონ მგლებმა, ლექსში - არც ერთი ბლეფი! - მიჩვევა იცის ბლეფმა!..

გაბედავს, იტყვის ვინმე, რომ შიშველია მეფე, ჯერჯერობით კი ვითმენ ლიტერატურულ ბლეფებს.

დრო გაიყოლებს კერპებს, არ მოაბრუნებს უკან, დღეს ხშირად ვისმენ ბლეფებს, ხანდახან...

ტაშსაც ვუკრავ...

წოდაბითმა რა ჰქნა

„კარგი როგორ უნდა ვაქო,“ თუ არ მოვჭერ აზრის თარგი? - რა კარგია - „ჩემო კარგი!“ რა ცუდია - „ჩემი კარგი!“

პოეტის პორტრეტი სიკვდილის შემდეგ

ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანას გადავიდა ღადავითა, კალმითა და კარტით ხელში, დარბაზით და სარდაფითა. ერთნაირად კვირდებოდა რიყის ქვით და სადაფითა, ერთნაირად გვაკვირვებდა ქნართა და დაფდაფითა... რა ეძია და რა ნახა იმ ბოლომდე ამ თავიდან, რა ღრეები გადალახა, ბედთან დავა სცადა ვითა, სად - იყო და სად - უნდოდა, სად - ჩავიდა, სად - ავიდა?.. ბასრი ლექსით ხმაურობდა, არვის ლექსის სადართა, როგორც სურდა, ქნარი ეყურა, შმაგი ცხენიც - სადავითა, ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანას სულ ღადავით გადავიდა...

\*\*\* ასამღვრევი ყველაფერი ამიღვრა, დასარღვევი ყველაფერი დაირღვა, საქებარი თუ რამ ვნახე, ვაქე, გასარკვევი ყველაფერი გაირკვა, ყველაფერმა სათაური დაირქვა, დავაშავე და პასუხიც ვაგე მოსარჩენი სატკივარი მორჩება, ყველაფერი დასრულდება, მორჩება ნუთი-ნუთზე, აგერ-აგერ-აგერ.

გადაკითხული ანდაზა

კამათში გაცილებით ხშირად იბადება ჩხუბი, ვიდრე ჭეშმარიტება!



რეპორტაჟი

სოსო მეშველიანი

# სამი პოეტი, ზვიადი და „ლიტერატურნაია სტიუარდესა“



ირაკლი კაკაბაძე, სოსო მეშველიანი, გვანცა ჯობავა და ზვიად კვარაცხელია

გვანცა ჯობავამ დამირეკა, ახალგაზრდა პოეტების ტურნე ეწყობა სამეგრელოში – ზუგდიდსა და ფოთში – და იქნებ წამოხვიდოდა. თავიდან, ცხადია, მეუხერხულა: მალე ორმოცი წელი შემისრულდება და ვერ გეტყვით, რამდენად შეესაბამება ჩემი წლოვანება ახალგაზრდა პოეტის ასაკს. ამ ასაკში შეიძლება ფილოსოფოსს ან მხატვარს უწოდო ახალგაზრდა, მაგრამ ორმოცი წლის „ახალგაზრდა პოეტი“ ალბათ ბუნებაში არ არსებობს.

მოკლედ, ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე, დავთანხმდით. ამის მიზეზად ისიც საკმარისი იყო, რომ ცხოვრებაში არ მიმიღია მსგავსი ღონისძიებაში მონაწილეობა და სამეგრელოშიც არ ვიყავი წამყვანი. რა თქმა უნდა, ამის გამხელა შემრცხვა – მე ხომ ოცი წელი გავლიე წაწინააღმდეგარის მთებიდან პირინეის უკიდურეს წერტილამდე თითქმის ყველაფერი ვნახე, სამეგრელო კი არ მენახა.

როცა უკვე წასვლა გადავწყვიტე, უცნაური შეგრძნება დამეუფლა: ტურნე ორდღიანი იყო, გამოდის, ორი დღე მარტო ლიტერატურით ვიცხოვრებდი, თან ძალზე საინტერესო ლიტერატორებთან. ასეთი რამე პირველად ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში, რაც ნამდვილად ფუფუნება იყო. მიუხედავად იმისა, რომ გრიპიანი ვიყავი და წინა დღეს ლოგინიდანაც ვერ ავდექი, წასვლის დღეს პირველი მე გამოვცხადდი „ინტელექტის“ ოფისში, სადაც ჩემი უმცროსი მეგობარი ზვიად კვარაცხელია მელოდა. ზვიადი ცოტა „გატეხილი“ იყო, ბოლო წუთს ბევრ მონაწილეს ეთქვა წამოსვლაზე უარი, გრძელი სიიდან სამნი დავრჩენილიყავით – გვანცა ჯობავა, ირაკლი კაკაბაძე და მე. ცოტა არ იყოს, დავიბენი, მე მანყოფილდა მონაწილეთა სიმრავლე ავადმყოფობის გამო, ახლა კი ჩვენ სამს მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრებოდა. მოგვიანებით კი მივხვდი, რომ პოეტების გრძელი სია ცოტა მოუხერხებელია მსგავსი საღამოებისთვის – ამდენი პოეტის წარდგენა, ყველა მათგანის გამოსვლა დიდ დროს მოითხოვდა და მოსაბეზრებელიც იქნებოდა.

მოკლედ – სამი პოეტი, გამომცემლობა „ინტელექტის“ წარმომადგენელი ზვიად კვარაცხელია და ლიტერატურისმცოდნე, პროფესორი თამილა წონორია. ტრანსპორტი: ახლადგამოცემული წიგნებით დატვირთული და წიგნის სუნიტ გაუფლეთილი „ინტელექტის“ მიკროავტობუსი – ასეთი განცდა ცხოვრებაში არ მქონია. გზაში ვსვით, ვჭამეთ, მაგრამ სურდოშეყრილი ვერაფერს ვატანდი გემოს, გარდა ლიტერატურაზე საუბრისა, ნარკოტიკივით მბრუნებდა წიგნების სუნი.

საქართველოში მიჭირს ტრანსპორტით მგზავრობა საშინელი არაკომფორტულობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ გზა და მოგზაურობა მიყვარს. იმ დღეს კი გზა ისე სწრაფად გაილია, გაოგნებული დავრჩი. ღამით ზვიადთან დავრჩით, გველოდნენ და დაგვხვდნენ, დაგვხვდნენ და დახვედრაც იმას ერქვა – რა სასიამოვნო შეგრძნებაა, როცა საკუთარი მშობელივით გახარებს მეგობრის მშობლის დანახვა.

ღილით ამინდიც სიურპრიზივით დაგვხვდა, მზეც პოეტურ განწყობაზე იყო, გვიანი შემოდგომის ფერები აქაიქუნდა აერეკლა გარემოს, მწიფე ციტრუსი თავისთვის ინახავდა სურნელს. ღილის ცივ ნიაგს სულ სხვა რამის გემო ჰქონდა, მოშორებით, ოდნავ რომ არხედა ვეება, ასწლოვან ფიჭვებს დადიანების ბაღში. როგორ შეიძლება აქ რამემ გონება ავიმღვრიოს.

პირველი შეხვედრა ზვიადს მშობლიურ სკოლაში მოუწყვეს, პედაგოგებთან და უფროსკლასელებთან. უცნაურად თბილი, სადა და ხალისიანი საღამო იყო (რაც ყოველთვის მახარებს), არანაირი პომპეზურობა. შემდეგ

ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გადავინაცვლეთ. ჩემდა გასაკვირად, დარბაზში ტევა არ იყო, მე, ცხადია, ველავდი, რალაცნაირად ზედმეტადაც კი ვგრძნობდი თავს. როცა ზვიადმა ჩვენი წარდგენა დაიწყო, ჩემი ყურადღება წინა რიგში მჯდომმა, ასაკოვანმა, გამხდარმა კაცმა მიიქცია. სკამზე თავჩაქინდრულს თვალები მოეჭურტა, მეგონა ეძინა, მაგრამ როცა წამყვანმა, ჩვენზე საუბრის შემდეგ, თამილა წონორია ახსენა და თქვა, რომ იგი ახალგაზრდა პოეტების დიდი ქომაგია და ამავე დროს ძალზე ენერგიული ქალბატონი – მათ ყველგან თან დაჰყვებოდა, ეს კაცი მოლოდინულად, მკვირცხლად შეთამაშდა სკამზე და წამოიძახა:

– მართლა ყველგან დაყვებით ამ ახალგაზრდებს?

– დიახ! – იყო პასუხი.

– ზნაჩიტ ვი ლიტერატურნაია სტიუარდესა! – მიუგო ზურაბ ცხონდიამ, როგორც შემდგომ გავიგე, შესანიშნავმა ლიტერატორმა, ქალაქის კოლორიტმა.

გასუსული, დაძაბულობისგან შეკუმშული დარბაზი ერთბაშად გაიხსნა. მოღიმარი სახეები მანამდე შერჩათ, სანამ ირაკლი კაკაბაძე ბოლო ლექსების კრებულს წარუდგენდა იქმყოფთ. „სახელმწიფო სახრჩობელასთან“ – მარტო სათაური კმარა სერიოზული სახის მისაღებად. კეთილი შურით შემშრდა კიდევ, ისე თამამად და ალღევების გარეშე ისაუბრა თავის წიგნებზე, საკუთარ შემოქმედებაზე. ისე კარგად ახსნა ნაკითხული ლექსის დეტალები, ლამის თოკის მარყუჭი კისერთან აგრძნობინა მსმენელს. ასევე ღრმა, მძიმე, მაგრამ მგრძნობიარე ლექსები წაიკითხა გვანცა ჯობავამ. ბოლოს მე ვცაადე მსუბუქი, კონცენტრირებული ლექსებით გამენიავებინა მძიმე ატმოსფერო, მაგრამ დარბაზის რეაქციაზე შევიტყვე სრული კრახის განცდა. ეს უფრო ჩემი ბრალი იყო, ვიდრე ჩემი ლექსების. საერთო ჯამში კარგი საღამო გამოვიდა.

შემდეგი გაჩერება კი ფოთი იყო.

ისევ მახსენდება, რომ იქამდე სამეგრელო არ მინახავს, ამ დროს კი მეგობრებთან ერთგვარი სიამაყით ვყვები, თუ როგორ ვცხოვრობდი ფიგერესში სალვადორ დალის მუზეუმის წინ, როგორ ვსეირნობდი ბილბაოში, შუალამისას, ბნელ მდინარეზე გადებულ შუშის ხიდზე და როგორ გავათიე დამე ღია ცისქვეშ ელისეს მინდვრებზე. სამეგრელო კი დამე არ მენახა. არ მენახა ფოთი, რომელმაც ერთი შეხედვით დაამსხვრია ჩემი გულუბრყვილო ბავშვობის მოგონებებიდან ამოზიდული მითი თუ ლეგენდა უძველესი ფაზისისა – ამწეების ჩონჩხებით დახვდა. ღამე ნიკოლოზ კორტავას სახლში გავათენეთ. ის, თუ როგორ დაგვხვდნენ და რა პატივი გვცეს, მთელი ცხოვრება მეყოფა მოსაყოლად.

ბოლო გამოსვლის დროც დადგა ფოთის თეატრში. მე გვანცასა და ირაკლის იმედი მქონდა, რადგან მაცივრება და ყელი მიშრებოდა, სიცხემაც ამინა. ძალიან კარგი გამოსვლა ჰქონდა თამილა წონორიას, დასასრულს თითოეული ჩვენგანის სათქმელი თქვა და ყველამ წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის – დათა გულუას ხსოვნას.

ირაკლი კაკაბაძე და გვანცა ჯობავა, როგორც ყოველთვის, შესანიშნავად მოერგნენ სცენას, ორივემ კარგად გამოაჩინა თავისი ნიჭი. მე გადავწყვიტე, არ მიმელო მონაწილეობა, მაგრამ სხვა გზა არ დამრჩა და, სიმართლე გითხრათ, ასე კარგად ცხოვრებაში არ გამომსვლია საჯაროდ ლექსების კითხვა. ბოლო ლექსი ყელგამშრამლმა წავიკითხე, ეკლებივით მესობოდნენ ბგერები ყელში. ნაეკითხე და ყველაფერი ამით დამთავრდა.

მერე კი, ემოციადაცლილებს, გრძელი გზა გველოდა...

ნუგზარ ზაზანაშვილი

\*\*\*

ზოდიაქო

თევზები მშველიან მშველიან თევზები აბა ისე როგორ გაუძღვლებდი გაორებას გასამებას გაოთებას გახუტებას თევზების გარეშე დავიხუთებოდი ჩავეშვებოდი ფსკერამდე ბოლომდის

თევზები თევზები შველიან მოლოდინს როცა იხუთება მოლოდინი მას უანგბადის ბუმტებს ანვდიან თევზები და მოლოდინი აღარ იხუთება ორდება სამდება ოთხდება ხუთდება

მოლოდინი სხვაა ლოდინი სხვა ელოდება ქალს კარგ ამინდს კარგ ამბავს მე კი უბრალოდ მოლოდინში ვარ მოლოდინში ვცხოვრობ ვარ მოლოდინი

და თან დავეძებ სულ დავეძებ ხან ერთს დავეძებ ხან მეორეს ხან მეხუთეს ანუ დავეძებ და არ დავეძებ რას დავეძებ

რადგან თევზები მშველიან მშველიან თევზები

\*\*\*

KENT-ის რეკლამა

„KENT — იცხოვრე მომავალში“ ... მეტაფორულად KENT, თან რომ არც არაფერს მალავ! — „მონევა კლავს, მონევა ინვესს ფილტვების კიბოს“

„KENT — იცხოვრე მომავალში“ ... ფილოსოფიური KENT, მბოროლებ და მბოროლებ: ანყო რა არის? — ისედაც მომავალში არ ვცხოვრობ?!

„KENT — იცხოვრე მომავალში“ — ყოვლად ცინიკური KENT, დამანებე თავი: ტყუილის კბილი, დიდი ხანია, ამოვიღე... და, ამის გამო, სიმართლის კბილებს შორის გაჩენილ პატარა შუალედში სიგარეტი მაქვს გარჭობილი... რა თქმა უნდა — KENT!..

\*\*\*

გზად სტამბოლიდან ბანგკოკისკენ — პირველად გადავფურენ საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყანას — „დაუმიწვლად“...

უცნაური გრძნობაა...

აი, ცოტათი გავცდით თბილისს... ახლა აქედან რომ გადამაგდონ, პირდაპირ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ლუმელის ჯოჯოხეთში ამოვყოფ თავს...

ისე კი, ახი იქნება ჩემზე — რას ვეძებ, რას დავწანწალებ?..

გამომცემალი

გია დარსალია

რა განასხვავებს გამომცემლობებს ერთმანეთისგან? ალბათ — წიგნები. „არეტეს“ დამფუძნებელმა და დირექტორმა, გია დარსალიამ, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ რჩეულ ნაწარმოებზე მითხრა, სამი წელი ვმუშაობდით მის თარგმანსა და გამოცემაზე, შემდეგ სხვა, ასევე გენიალურ წიგნს — ოთხი წელი შევალეთო. ამგვარი დამოკიდებულება საგამომცემლო საქმისა თუ ლიტერატურისადმი თანამედროვე გამომცემლისგან შეიძლება გასაკვირია, წარმოუდგენელიც კი. „არეტეს“ წიგნებს მომხმარებელიც შესაბამისი ჰყავს — ხარისხზე, კარგ ლიტერატურაზე ორიენტირებული მკითხველი, რომელიც სასურველ საკითხავში მზადაა ძვირი გადაიხადოს და ფასდაკლების აქციებსა თუ ბარათებს არ გამოედევნოს. „ლიტერატურულ გახეთში“ ბატონი გიასთან ინტერვიუ პირველად არ იბეჭდება. შესაბამისად, „არეტეს“ შექმნის ისტორიასა და პირველ წლებზე ახლა არ შევჩერდებით. რამდენიმე წლის წინ მან ამაზე უკვე ისაუბრა. მას მერე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხავი შესთავაზა მკითხველს.

— მახსოვს, პირველად რომ შეხვდვით, სხვა პროექტებთან ერთად, ოთარ ჭილაძის ანთომეულზე ვისაუბრეთ. მისი შემოქმედების სრულად გამოცემა თუ დასრულდა?

— პროექტი გრძელდება. გამოვეცით ბატონი ოთარის ექვსივე რომანი და პოეზია. ძალიან მალე გამოვა ესეტიკა, პუბლიცისტიკა, პიესა და თარგმანები. მეათე ტომი კი დაეთმო ბატონს, რომლის დასრულება ავტორმა ვერ მოასწრო, ის არასოდეს გამოქვეყნებულა. შესაბამისად, გამოსაცემად მის მომზადებას გარკვეული დრო სჭირდება.

— სერია „აუცილებელი საკითხავიც“ გრძელდება?

— „აუცილებელი საკითხავი“ ჩემი სიამაყეა. ჯერჯერობით გამოცემულია 10 წიგნი — ერთიმეორეზე უკეთესი წიგნები და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ერთიმეორეზე უკეთესი თარგმანები.

— თუ ასეა, უნდა გავიხსენოთ წიგნებიცა და მთარგმნელებიც.

— ესაა ემილი ბრონტის „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, რომელიც ანა კორძაია-სამადაშვილმა თარგმნა, ჯეინ ოსტინის „სიამაყე და მცდარი აზრი“, მისი მთარგმნელი ანა მაყაშვილია, მიშელ უელბეკის „ელემენტარული ნაწილაკები — გიორგი ეკიზაშვილის ფანტასტიური თარგმანი, კნუტ ჰამსუნის „შიშხილი“, გადმოქართულიებული დევი ბერძენიშვილის მიერ, ხულო კორტასარის „კლასობანა“ — მერი ტიტვინიძის თარგმნილი გენიალური წიგნი, ჩემი მთავარი სიამაყე, რომლის თარგმნას, რედაქტირებას სამი წელიწადი შევალეთ, აინ რენდის „პირველწყარო“ ზაზა ჭილაძისა და გია ჭუმბურიძის თარგმანი, ერის მარია რემარკის „სამი მეგობარი“ ანა კორძაია-სამადაშვილის თარგმანი, თორნონ უაილდერის „მეფე ლუდოვიკო წმინდას ხიდი“ გიორგი დოლიძის თარგმნილი, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ გივი კიკილაშვილის შესანიშნავი თარგმანი და ჰარპერ ლის „ნუ მოკლავ ჯაფარას“ ლელა დუმბაძის თარგმანი. ეს ბოლო წიგნი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი წიგნია ინგლისურენოვან სამყაროში, ჩვენთან მის ავტორს თითქმის არ იცნობდნენ, ისე როგორც აინ რენდს — მწერალს, რომელიც ამერიკაში პოპულარობით ლამის პირველ ადგილზეა.

— „არეტეს“ იმთავითვე კონცეპტუალური გამომცემლობა იყო, გამოირჩეოდა ორიენტირებით, პრიორიტეტებით. თქვენ მაღალი ხარისხის მხატვრულ


ლიტერატურას გამოცემით, ვიტყვოდი ინტელექტუალური გამომცემლობა უფრო ხართ, ვიდრე კომერციული, ეს კი ძალიან იშვიათია თანამედროვე საგამომცემლო სივრცეში, სადაც, განსაკუთრებით ბოლო დროს, იმას ცდილობენ, სულ უფრო მეტი პროდუქცია სულ უფრო სწრაფად გავიდეს ბაზარზე. სხვებისგან ალბათ იმითაც განსხვავდებით, რომ როგორც წლების წინ მითხარით „ერთი კაცის გამომცემლობა“ ხართ.

„ იმ 10 პროცენტზე ვმუშაობ “

მგონი, არაფერი შეცვლილა.

— ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, ირგვლივ მყავს ძალიან კარგი ადამიანები, პროფესიონალები. მართალია, ოფისი არ გვაქვს, ერთად არ ვსხედვართ, მაგრამ მე რომ მკითხოთ, დღევანდელ დღეს, „ბაკურ სულაკაურის“ ან „პალიტრას“ ტიპის გამომცემლობა თუ არ ხარ, ოფისის გარეშეც იმუშავებ. რა სჭირდება წიგნის გამოცემას? — თარგმანი, რედაქტორი, კორექტორი და სტამბა. აქედან ნებისმიერ საქმეს, სახლში უკეთესად გააკეთებს ადამიანი, ვიდრე ოფისში. მე მყავს ძალიან კარგი მთარგმნელები, ვამაყობ — ისეთები, მყავს იშვიათი რედაქტორი თამუნა თითუმერია, მყავს არაჩვეულებრივი კორექტორი ინა არჩუაშვილი, რაც შეეხება სტამბას — ესეც მოგვარებადი საკითხია. ერთადერთი პრობლემა დისტრიბუცია და მარკეტინგია, თუმცა ამასაც რაღაცნაირად გართმევთ თავს.

იმის გამო, რომ დღეს კონკურენცია არის სისწრაფეზე, შევეშვი ყველა წიგნს, რომელიც ამ სახის კონკურენციაში ჩამრთავდა და გამოვეცემ მხოლოდ იმ წიგნებს, რომელზეც მაქვს ექსკლუზიური საავ-



ტორი უფლება და შესაბამისად, შემიძლია აუჩქარებლად ვიმუშაო თითოეულზე. ვერ წარმომიდგენია მოსწრებაზე როგორ უნდა თარგმნო და გამოსცე, მაგალითად, კორ-



მეშვიდე წიგნები ჯერ დაწერილიც არ არის, არადა მკითხველს ისეთი მოლოდინი აქვს! ლამის ლოცულობენ სამოც წელს გადაცილებული ავტორის ჯანმთელობისთვის, რათა წიგნის გაგრძელება და დასასრული წაიკითხონ. „სატახტოთა თამაში“ შესანიშნავად თარგმნა ნინო ბარძიმიშვილმა.

ჩემს „აუცილებელ საკითხავს“ ვინც კითხულობს, თითოეული წიგნით აღფრთოვანებული რჩება, მართლაც აუცილებელი საკითხავია. ფანტასტიკური ნაწარმოებია „ნუ მოკლავ ჯაფარას“ — იმდენად თბილი, ადამიანური და კარგი წიგნი, რომ თუ მკითხავ, სკოლაშიც უნდა ისწავლებოდეს. რაც შეეხება აინ რენდს, 90-იან წლებში ამერიკაში ჩაატარეს გამოკითხვა — „რომელმა წიგნმა იქონია შენზე ყველაზე დიდი გავლენა?“ დასახელებული წიგნებიდან პირველ ადგილზე გავიდა ბიბლია, ხოლო მეორეზე — აინ რენდის რომანი Atlas Shrugged, რომელსაც ახლა გამოვეცემთ. როგორც გითხარით, აინ რენდის ორი დიდი მოცულობის რომანიდან ერთ-ერთი, „პირველწყარო“ უკვე გამოსულია. ამ მწერალსაც, ჯორჯ მარტინის მსგავსად, თავისი მიმდევრები ჰყავს. მისეული ფილოსოფია ძალიან საინტერესო, ცოტათი უცნაური, თან პროვოკაციულია, ეგოიზმს ერთ-ერთ უმთავრეს სათნოებად მიიჩნევს.

ძალიან მომწონს „აუცილებელი საკითხავის“ ანოტაციები, ისინი წიგნების უკანა ყდებზეა განთავსებული. ანოტაციების დაწერას ვთხოვ ხოლმე იმ ადამიანებს, რომლებსაც ესა თუ ის კონკრეტული ნაწარმოები უყვართ. გავა ნახუცრივილის, ნენე კვინიკაძის, ანა კორძაია-სამადაშვილის, სხვათა ანოტაციები პატარა პატარა მოთხრობებივითაა. ძალიან თბილი ნაწერებია.

— ახლა რა წიგნებზე მუშაობთ?





— მალე ძალიან კარგ წიგნს გამოვეცემთ — უმბერტო ეკოს „როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი“. ლექტორებისგან ხშირად მსმენია წუხილი იმაზე, რომ ახალგაზრდებმა საკურსოების, სადიპლომოების წერა არ იციან. უმბერტო ეკო ასწავლით, როგორ დაწერონ მსგავსი ნაშრომები.



ტასარის „კლასობანა“, სადაც თითოეულ გიტყვას აქვს მნიშვნელობა? მაშ, რატომ გამოსცემ საერთოდ? საგამომცემლო საქმის გაბიზნესება წიგნების ხარისხზე აისახა, ასევე — მათ ფასებზე, მომხმარებლის 90 პროცენტი ხარისხს ყურადღებას აღარ აქცევს, მას ურჩევნია წიგნი შეიძინოს იფადა და შემოდოს თაროზე. თუმცა მე იმ ათ პროცენტზე ვმუშაობ.

— მაშინ თქვენს იმ „სიამაყეებზე“ მესაუბრეთ, ჩვენი პირველი ინტერვიუს მერე რომ გამოვეცით.

— პირველ რიგში, ეს არის ჯორჯ მარტინის „სატახტოთა თამაში“ — უპირველესი, რაც კი მსოფლიოში ბესტსელერია. ჩვენთანაც ბესტსელერად იქცა-მეთქი ვერ გეტყვით, მაგრამ მოთხოვნილება გაჩნდა და დარწმუნებული ვარ, ინტერესი მის მიმართ სულ უფრო მზარდი იქნება. ძალიან კარგი წიგნია, ადამიანს ფენთეზი რომც არ უყვარდეს, ამის კითხვა თუ დაიწყო, მერე ველარ მოწყდება. ჯერჯერობით „სატახტოთა თამაშის“ პირველი წიგნი გამოვეცით, მეორე იანვრისთვის იქნება. მსოფლიოში უკვე გამოსულია ხუთი წიგნი, სულ შვიდი უნდა გამოიცეს, მეექვსე და





ოთხი წელიწადი შევალეთ კაფკას რომანს Das Schloß — ჯერჯერობით არ ვიცი, საბოლოოდ რა სახელწოდება ექნება — „ციხესიმაგრე“ თუ „სასახლე“. ის ანა კორძაია-სამადაშვილმა თარგმნა, გადაყვა ლამის რომანს. კორტასარისა არ იყოს, კაფკას თარგმნა იოლი არ არის, მასთანაც ყველა სიტყვას მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, გაგაგრძელებთ ჯორჯ მარტინს. ვაპირებთ ედგარ დოქტორიუს „რეგტიმის“ გამოცემას, ეს თამუნა სუნიშვილის მთარგმნელობითი დებიუტი იქნება. თამუნა ძალიან კარგად რომ თარგმნის ვიცი, მაგრამ აქამდე გრძლად არაფერი უთარგმნია.

მალე ერთი ძალიან კარგი წიგნიც გამოვა. სავარაუდოდ ასე ერქმევა „ფეხბურთის ტაქტიკის ისტორია“. მისი ავტორია ერიკ ბერნი. წიგნი გვიყვება, როგორ განვითარდა ფეხბურთი დასაწყისიდან დღემდე. იკითხება ერთი ამოსუნთქვით, ესაა საუკეთესო წიგნი, რაც კი ოდესმე დაწერილა სპორტის ამ სახეობაზე.

გვინდა ნონ ფიქშენის მიმართულებითაც ვიმუშაოთ. გამოვეცით ისეთი წიგნები, უბერტო ეკოს „როგორ დავწეროთ საკვალფიკაციო ნაშრომისა“ თუ ერიკ ბერნის „ფეხბურთის ტაქტიკის ისტორიის“ დარად, სხვადასხვა საინტერესო თემას რომ შეეხება, ყველასთვის რომ იქნება დაწერილი და, ამავე დროს, სამეცნიერო ღირებულებასაც შეინარჩუნებს.

— „არეტემდე“ იყო „პარნასი“, რომელიც მეგობართან ერთად დააარსეთ და დღეს წიგნის მალაზიათა ერთ-ერთი ცნობილი ქსელია საქართველოში. რა სიახლეებს შესთავაზებთ მომხმარებელს მომავალი წლიდან?

— საქართველოში უკვე იმდენი წიგნი გამოდის, რომ „პარნასი“ აღარ გვეტევა. ვფიქრობთ სამომავლოდ, როგორც საბავშვო, ასე უფროსებისთვის განკუთვნილი გამოცემები, მალაზიაში შემოტანიდან ერთ წელიწადში უკან გავიტანოთ. საუბარი არ არის სპეციალურ ლიტერატურაზე, ან ისეთ წიგნებზე, რომლებიც ერთეულებია და სულ უნდა გქონდეს. შესაბამისად არჩევანის საშუალებასაც დავიტოვებთ.

მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ ვცდილობთ, ინგლისურენოვანი ლიტერატურა რაოდენობრივად მიუყახლოვოთ რუსულენოვანი წიგნების იმ დიდ არჩევანს, რითაც „პარნასი“ ყოველთვის გამოირჩეოდა. წიგნებს ადამიანი ინტენსიურად მაინც 25 წლამდე კითხულობს. ამ ასაკის ქართველი ახალგაზრდების უმეტესობა კი ინგლისური ენას უკვე ისე კარგად ფლობს (თუმცა არც იმდენად კარგად, როგორც მათ ასაკში ჩვენ ვფლობდით რუსულს), რომ შეუძლია სასურველი ლიტერატურა დედანში იკითხოს. ასე რომ, გადავწყვიტეთ მათთვის ინგლისურენოვანი წიგნების არჩევანი გავზარდოთ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, მალაზიაში ტოლსტოისა და დოსტოვესკის ნაწარმოებების ინგლისური თარგმანების დადება თუ მომიწევდა, მაგრამ ჩვენმა თანამშრომლებმა — ხშირად ინტერესდებიანო და, ჩვენც თადარიგი დავიჭირეთ. მაინც მგონია, რომ ეს უცხოელების ინტერესი უფროა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ახალგაზრდები რუს მწერლებს ქართულადაც ნაიკითხავენ.

ესაუბრა თამარ ქურული

იუზორი

ჩამს ქუჩაზე უამრავი სახლი დგას. გუშინწინ ვფიქრობდი, აქ ალბათ ბავშვის ეტლსაც კი ვერ გაატარებ-მეთქი, დღეს კი უზარმაზარი მონსტრია ნამოჭიმული. ათასი ვილაც ცხოვრობს შიგნით. ჭეშმარიტად ფართო ასორტიმენტია. უმეტესობას ფარდის გადაწევა საჭიროდ სულაც არ მიაჩნია. ამიტომ თავისუფლად შემოიღია ალგინეროთ, როგორი წელის მოყვანილობა და თქოები აქვს ჩემს პირდაპირ მცხოვრებ ქალბატონს, რომელმაც ალბათ ახლახან იმშობიარა. მის ზემოთ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობს, ამასწინ მშვენივრად ჩანდა, როგორ შესწირეს ბებიარემისთვის სათაყვანებელი „მადონას“ სერვიზი ეჭვიანობის სცენას. მოკლედ, კორპუსი იმდენად ახლოს დგას, რომ თავისუფლად შემოიღია პირდაპირ ჩემი ოთახის ფანჯრიდან დაეპატიჟო ყავაზე ზემოთაღნიშნული წყვილი და საკუთარი „მადონას“ სერვიზით გავუმასპინძლდე. მაგრამ ჯერ-ჯერობით თავს ვიკავებ. მათ მეზობლად ერთი ქალბატონი ცხოვრობს, რომელიც ყოველ დღით ვარჯიშობს, შემდეგ აივანზე ჯდება და ჩუმად უთვალთვალავს ჩემ ქვემოთ მცხოვრებ მარტოვალ გოგი ბაბუს, რომელიც ასევე მოვარჯიშეა და კიბეზე შეხვედრისას არ იშურებს სალანძღავ სიტყვებს, რადგან მოუქნელი და ზარმაცი ვარ. ისე კი მაგარი ვინმეა გოგი ბაბუ, სულ არ მემეტება იმ ქალბატონისთვის.

წინა კორპუსში უამრავი ხალხი ცხოვრობს, ამიტომ ყოველთვის შეიძლება რაიმე საინტერესოს დანახვა. ხანდახან პირველ სართულზე მცხოვრებ სუსტი ყოფაცქევის ქეთის ჩავუსაფრდები ხოლმე და კლიენტებს ვუფასებ, მელოტი, ლიპიანი კაცები აშკარად შეჩვეული ჰყავს, აი ისეთები, მაისურში ხელს რომ იყოფენ ღიპის მოსაფხანად, თეთრ ნინდებს რომ იცვამენ შავ ფეხსაცმელებზე და ნეკა თითზე განზრახ რომ აქვთ ფრჩხილი გაზრდილი. ქეთისაც სხვა რა გზა აქვს, მორჩილად ასრულებს თავის მოვალეობას, რომ გამომუშავებული ფულით შვილს სწავლის ფული გადაუხადოს. ალბათ, გაგიკვირდებათ, საიდან უნდა ვიცოდე ამდენი ჭორ-მართალი თხუთმეტი წლის გოგომ. მაგრამ რა იქნებოდა ბავშვობა, ჩვენ გვერდით რომ ლილი ბებო არ ცხოვრობდეს, რომელიც ყოველდღე შემოდის ბებიარემთან ყავაზე სამკითხაოდ და თან მოაქვს ჭორების დიდი გუდა, რომელსაც დილაადრიან რომ მოუხსნის თავს, ხანდახან სკოლიდან დაბრუნებულსაც კი არ მხვდება ხოლმე ბოლომდე ამოლაგებული.

მოკლედ, ლილი ბებოც მაგარი ვინმეა, ხანდახან მეზობლების პირად ცხოვრებასა და სერილების სიუჟეტებს ერთმანეთში ურევს და როდესაც აღმოაჩენს, რომ შეუძლებელია ქეთის მამა ხორხე ლუის კარლოსი იყოს, უხერხულად ჩაიკისკისებს ხოლმე, მეუე საქმეებს იმიზეზებს და სახლში გარბის.

ქეთის მეზობლად ორი სტუდენტი ბიჭი გადმოვიდა, ორივეს მაგარი მანქანა ჰყავს და ყოველდღე სხვადასხვა გოგონას დაასრიალებენ თავიანთი X5-ებითა და ლექსუსით. მაგარი მამიკოების შვილები არიან და გატრაკებაც, იცოცხლეთ, მაგარი იციან. სულ სიცილ-კისკისის ხმა გამოდის მათი სახლიდან და ხშირად უგონოდ მთვრალი



გოგონებიც არიან ხოლმე აივნის მოაჯირზე გადმოკიდებულები. ლექსოს და ნიკას გვერდით თამრო ბებო ცხოვრობს. თამრო და მოვარჯიშე ქალბატონი ერთმანეთს ეცილებიან გოგი ბაბუს სიყვარულში, ხშირად ჭორაობენ ერთმანეთზე, რაც ელვის სისწრაფით აღწევს ლილი ბებოს ყურამდე და საპატიო ადგილს იკავებს „ჭორგუდაში“. მეზობლებმა ყოველთვის უკეთ იციან ქეთის, ლიკას, თამუნას, ნიკას თუ ლექსოს პირადი ცხოვრება, ვიდრე თავად ქეთიმ, ლიკამ, თამუნამ, ნიკამ და ლექსომ.

მაგალითად, თამილა ბებომ მესამე სადარბაზოდან შეძლო, დაენახა მეორე-სართული თამუნა სკვერში ვილაც ყმანვილთან ერთად „უხამსი“ საქციელის ჩადენისას, მაშინ, როდესაც სინამდვილეში თამუნა გასტროლებზე იყო პრაღაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენთან შესაძლებელია წელიწადში ოთხჯერ დაფხმდომდე ან გაშორდე ქმარს მაშინ, როდესაც საერთოდ არ გათხოვილხარ.

თიკო ქარელი

ჭორგუდა



ზოგჯერ შემთხვევით მოვკრავ ხოლმე ყურს, როგორ ეჩურჩულება ლილი ბებო ბებიარემს ჩემს გათხოვებაზე, თურმე პირველსართულელ ნუნუს გადასარევი შვილი-ნიშვილი ყოლია, როდესაც საქმე უკვე ჩემი ქორწილის თარიღსა და ბავშვის საბუნებამდე მიდის, მე მხიარულად ვყოფ თავს სამზარეულოში და ვეუბნები, რომ ჯერ არავიზე გათხოვებას არ ვაპირებ. ამ დროს ლილი ბებო თვალს უკრავს ბებიარემს და თემას ცვლის.

მაგრამ რა ხიბლი ექნებოდა აქ ცხოვრებას, თუ არ მეყოლებოდა უბნის საამაყო ბანდა. ე.წ. ვაჟას კოლორითი ახალგაზრდობა. უბნის დამრტყმელი ბიჭები, შავეები, ქერები, მალღები, დაბლები, ოდნავ აზრზე მოსულეები თუ ჯიბიდან მსროლელები. თქვენ უბრალოდ თითი დაადეთ და თითოეული მათგანი თქვენ წინაშე წარსდგება.

რას იტყვით ოდნავ დიდთავა თედოზე, რომელიც კმაყოფილია იმით, რომ 9 ცალი „ანდანტი“ დალია და ორ საათში გამოვიდა, ან ნიკაზე, მეტსახელად ქილერაზე, რომლის შიშითაც ჩვენ კორპუსთან სანყალი პიანისტი ნიკო ფეხს ვერ ადგამს. სანდროსაც არა უშავს, მაგი „RayBan“-ები სულ სხვა იერს აძლევს, შარვალს ჩაიჩაჩავს, ცოტა ნაიცუცქება და დღის მისია შესრულებული აქვს. სოსოსაც ვერაფერს დაუწუნებ, მაღალი, ქერა ბიჭია, მაგრამ საკმარისია ხმა ამოიღოს, რომ მაშინვე ვრწმუნდები — გამოთქმამი: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ ჭეშმარიტების ნასახიც არ არის.

მოკლედ, შორს რომ არ წავიდე, ნამდვილად საამაყო ბიჭები გვყავს. თქვენ უნდა ნახოთ, როგორ ცდილობენ მეორე სადარბაზოელი „გამოსული“ გოგონების ნატაშასა და სალის შებმას, მაგრამ უშედეგოდ. გოგოშებს X5-იანი ბიჭები მოსწონთ — ოქროს ბეჭდებით და CK-ის ფეხსაც-

მელებით. ახლა ფანჯრის რაფასთან ვზივარ და ვხედავ, როგორ ცდილობს 20 წლის ნია თავიდან მოიშოროს უბნის „კრასავიკი“ სოსო, მაგრამ უშედეგოდ. სოსო აგრესიული გამომეტყველებით მიათრევს სადარბაზოსკენ.

უკვე წარმომიდგენია ნიას მამის რეაქცია, როდესაც ამ ამბავს უბნის ჭორბიურს მეორე თავჯდომარე ნატო ბებო შეატყობინებს.

ერთხელ სახლში მშვიდად მჯდომს გაბმული ზარი მაიძულებს უკანალი ავნიო და კარებამდე მივობლდე, ასეც ვიქცევი და ამ მარტივი მოქმედებით სიცოცხლეს ვუნარჩუნებ პიანისტ ნიკოს, რომელსაც დანით ხელში მოსდევს ქილერა. ნიკო სახლში შემყავს და ქილერას შეძლებისდაგვარად მრისხანედ ვუბრძანებ დატოვოს ტერიტორია, ის კი ამაზრზუნად მიღიმის და მეუბნება: „კაი ველადავები, ბაბუ, რა გჭირს, ტო?“ მეუე დანას კეცავს და თვალს მიკრავს. მე კარს ვაჯახუნებ, ნიკოს „ვალე-

რიანის“ წვეთებს და წყალს ვაძლევ, მერე სახლამდე ვაცილებ. მას შემდეგ ნიკო სულ თბილად მიღიმის და თავის კონცერტზეც კი მებატიჟება.

ამ ამბის გახსენებისას სულ მეღიმება, ახლაც გამეღიმა და მესამე სართულის აივანზე მჯდარი ანზორიკო შევნიშნე, რომელიც ხალაითი ნამოჯდარა და სიგარეტს აბოლებს.

დღეს მოწყენილობაა, ლილი ბებოც არ ჩანს, ბებიარემი გაზეთს კითხულობს და თავს აკანტურებს.

სადაცაა ჩამეძინება. უცებ, მესმის ზარი, ისეც გაჭირვებით ვწევ უკანალს სკამიდან და კარებისკენ მივლასლასებ. სიტუაცია სასწრაფოდ მაფხიზლებს — ზღურბლზე ლილი ბებო დგას, ოღონდ მარტო არა. არა, არა, არც „ჭორგუდასთან“ ერთად, ის ხომ სულ თან დააქვს. ახლა ლილი ბებოს ერთი ყმანვილი ახლავს. ეს ყმანვილი უხერხულად მიღიმის. ლილი ბებო მხარზე ხელს უტყაპუნებს და მეუბნება:

— გაიცანი, ეს რეზიკოა, ნუნუს შვილი-იშვილი.

რეზიკო მხიბლავს, შავგვერმანია, მაღალია და ლამაზი ღიმილი აქვს. ორივეს სახლში ვიპატივებ და წყალს ვდგამ ყავისთვის. „მადონას“ სერვიზიც ადგილზეა. ბებიარემი გაზეთს დებს და სტუმრებს ეგებება. საღამო კარგად მიდის, რეზიკო ცოტა მორცხვია, მაგრამ სალაპარაკო თემას მალევე ვპოულობთ და ერთმანეთს ვუგებთ. დაახლოებით ერთ საათში რეზიკო გვემშვიდობება, ვაცილებ და სასტუმრო ოთახში ვბრუნდები, სამზარეულოდან ისევ მესმის ჩემი სამომავლო გეგმები, მაგრამ უკვე აღარ ვანყვეტინებ. ჩემს ოთახში შევდივარ და ფანჯრიდან ხელს ვუქნევ რეზიკოს, რომელიც მიღიმის და სადარბაზოში უჩინარდება.

არის! ქორწილი ნამდვილად შედგება!

დღეს დილა ქუჩაში მივდიოდი. ნისლი იყო. თბილისში იშვიათად იცის ნისლი. ნავის ურნას რომ ჩაუვარე, ძველი, ყავისფერი პორტფელი შევამჩნიე. იქვე იდო ურნის გვერდით. გაცრეცილ ტყავის კედლებზე წვრილი, შავი ზნარები ეტყობოდა, რკინის საკეტებს წვრილ წერტილებად შეპარვოდა ჟანგი.

ეტყობა, ვილაცამ დატოვა და რახან ურნაში არ ჩააგდო, ალბათ, ჯერ კიდევ იქნებოდა გამოსადეგარი და ამიტომაც დადეს ურნის გვერდით, ვინმეს რომ ნაელო.

ან იქნებ, შეეცოდათ? იქნებ, ის იმდენი ხანი იყო მათი ოჯახის წევრი, რომ დაენანათ ერთი მოქნევით ნავის აყროლებულ ყუთში ჩასაგდებად.

ცოტა ხანი ვიდექი, ვუყურებდი ამ ბებერ პორტფელს და რატომღაც ის ნივთები გამახსენდა, ამა თუ იმ ამბის, ისტორიის გამო რომ შემოდინა ჩვენს ცხოვრებაში და სამუდამოდ რჩებოდა მესხიერებაში. ნივთები, რომლებიც გამოცხადებით და ვართ ისეთები, როგორებიც ვართ.

გამახსენდა, ღამით ქუჩის ჩხუბში მოკლული ძმაკაცის სისხლით გაფლენილი, დამძიმებული ჯინსის შარვლი რომ ვერ გადავაგდე, კარგად გავრეცხე და მერე კიდევ დიდხანს ვიხმარე გემრიელად. სპორტული ჩანთა, რომლიდანაც თავი ამოყო და ჩვენი სახლი შეათვალა სენბერნარის ბუთქუნა ლეკვამ, ბუთამ. დიდი, ფართე თეთრი ლოგინი, რომელშიც მოკვდა ბებია. ახლა კი იქ მე ვწევარ. მაგიდა, რომელსაც თავი დაადო და ხმამაღლა ატირდა მამა. დედაჩემის ბავშვობაში გარდაცვლილი უფროსი დის და ძმის სქელი, შავ-თეთრი, კუთხეებში დაზარული სურათი ლურჯ ალბომში, მათი ბავშვური, უფერული, დროში გაყინული სახეები და ისტორიები, რომლებსაც მიყვება ხოლმე დედა მათზე. მშრალ ხიდზე, გამხდარი დევნილი მოხუცისგან ნაყიდი გასაშლელი დანა, რომლითაც კაცის მოკვლა მიხდოდა, კარგა ხანს ვატარე ჯიბით, გათიშვამდეც ვსვი სიმამაცისთვის და მაინც ვერ მოვკალი.

და ასე დაუსრულებლად. მათ ბოლო არა აქვთ, რიცხვი არა აქვთ. ისინი ძალიან ბევრნი და ყველასთვის სხვადასხვანი არიან.

მაგრამ ჩემს მესხიერებაში ყველაზე მკაფიოდ არის შემორჩენილი ერთი ნივთი, რომელიც მე თვითონ არასოდეს მიხახავს თვალთ, მხოლოდ წარმოდგენით მაქვს აღდგენილი და მაინც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის. ეს არის კალაშნიკოვის ავტომატი გრძელი შავი ლული, უხეში ხაკისფერი გადასაკიდით და აგურისფერ, ნახევარმთვარესავით გაღუნულ მჭიდზე ცისფერი იზოლენტი გადახვეული მეორე ამოყირავებული მჭიდით. რადგან სწორედ ეს ნივთი მახსენებს ბებიაჩემ მაკოს.

ძალიან სამართლიანი, ალალი და კეთილი ქალი იყო ბებიაჩემი მაკო. ბუთქუნა, თეთრთმანი, ცოტათი ოთარანთ ქერივს ნააგავდა ხასიათით. სამეზობლო ჩხუბების პირველი გამშველებელი, მშინის დამპყრებელი. კარზე მომდგარ მათხოვარს აუცილებლად რომ დაბანდა, ჩაცმევდა, აჭმევდა და ისე გაისტუმრებდა. თვითონაც ახალგაზრდობაში დაქვრივებულს ორი შვილი გაეზარდა მარტოს, მეტროში მუშაობდა მოლარედ. ვერ იტანდა უსამართლობას, სულ იმით ამაყობდა, რომ ოჯახში და ნინაპრებში არცერთი ქურდი და ყაჩალი არ გვყავდა. ხომ ეგეთი კეთილი და ალალი იყო — მაგრამ მაგარი ფიცხი ხასიათი ჰქონდა, ნამში შეეძლო აფეთქებულიყო და ეგეთ დროს უნდა მორიდებოდი. გაბრაზებული ბებია დაუნდობელი, შეუბრალებელი და თავისი ასაკისთვის საოცრად სწრაფი და მოქნილი ხდებოდა.

მაგრად გავაბრაზე ერთხელ, დაავლო ჭინჭარს ხელი, შევასწარი სიმინდის ყანაში, გამობანცალდა ამ დროს ჩემი პატარა ძმა და გაცეცხლებულმა ბებია იმას დასცხო ჭინჭარი, გონს მაშინ მოვიდა, როდესაც ლუკა ხმამაღლა ატირდა და მრგვალი, ნთელ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— გირჩევნია, სახლში არ მობრუნდე, ჩემი ხელით მოგკლავ! როგორ ტყუილად შემომელახა ეს ანგელოზივით ბავშვი! — მომესმა მწვანედ აქოჩრილ ყანაში ჩამალულს. საღამოს კი ბებია ამ აღადიკები

გავგიკეთა და თავისი ხელით მოგვიყარა ოხშივარავარდნილ, ყავისფრად დაბრანულ ცომის გუნდებზე შაქარი.

ჭორაობა არ იცოდა, პირდაპირ ამბობდა სათქმელს და ხანდახან მაგრა სასაცილოდაც გამოსდიოდა.

ერთხელ მისმა მეგობრის შვილმა ტრიპერი აიკიდა, მოვიდა ის ქალი ფულის სათხოვნელად ბებიასთან, მისცა ამან, რა თქმა უნდა, მაგრამ რო გაიგო რაშიც იყო საქმე, აღშფოთებული გავიდა გარეთ და იყვირა: რა იყო, ერთი პატიოსანი ბოზი დაილია სოფელშიო?!

თან მაგარი აზარტული იყო. ხშირად ვთამაშობდით ხოლმე ნარდს. დღესაც მახსოვს მის მონთალო-მოვარდისფრო ჩარჩოიან სათვალეში არეკლილი ღამის შუქი, სუსტად რომ ანათებდა სოფლის სახლს, ნარდის დაფაზე წკარუნით ყირაზე გადასული კამათლები და ბებიას მხიარული შექაბილი „ირტუ, უჯინი, ირტუ!“

— არ გეწყინოს, დედა, მაგრამ ეს ბებია უფრო მიყვარს, — მიტყვამს პატარაობაში.

აი, ეგეთი ბებია მყავდა. 1993 წელს, როდესაც ზვიად გამსახურდია უეცრად დაბრუნდა საქართველოში და სამეგრელოს მხედრიონი შეესია, ბებია სოფელში ჩარჩა. ჩვენ პატარები ვიყავით, მამა სულ რამდენიმე დღის ჩამო-

**ლადო კილასონია**

**ცისფერი იზოლენტით გადახვეული ავტომატი**



სული იქნებოდა ომიდან. ნავინდენ ის და ბიძაჩემი თენგო ბებიას ჩამოსაყვანად და ჩამოიყვანეს კიდევ. ოლონდ დიდი ხანი კი დასჭირდათ, ტრანსპორტი არ იყო, ძლივს ჩააღწიეს სენაკამდე, იქიდან კი ჩვენს სოფლამდე ფეხით მოუწიათ სიარული.

თბილისში ღამით დაბრუნდნენ. შუქი არ გვექონდა. სახლში მე, ჩემი ძმა, მამიდა და დედა ვიყავით, როდესაც მამა, ბიძაჩემი თენგო და ბებია შემოვიდნენ.

მოყვდა ბებია იქაური ამბები. დაუნიოკებიათ სოფელი.

— მიქონდათ ყველაფერი, შემოვიდოდნენ სახლში და მიქონდათ. ერთი კია, ქალბებისთვის ხელი არ უხლიათ არც ერთს. მარა სხვა... საცოდავ კობას მიადგნენ, ოქრო გაქვს შენო, დააყენეს კედელთან და თავს ზემოთ ესროდნენ ავტომატს, ტიროდა, რო ვნახე, სად მაქვს მე ოქროო?! ზაურის კიდე პირდაპირ უთხრეს, უკანა ეზოში რო გაქვს დამარხული, ის ოქრო მოგვეციო. სუ ჩაუშვეს ამ ჩვენმა სოფლის კაცებმა ერთმანეთი, — თქვა მამის ბებია იზოლენტიანად, ბოლმისგან ქვედა ტუჩი აენია მაღლა, ნიკაპი ნაოჭებისგან დაეჭმეოქნა და სანთლის შუქით განათებულ სახეზე მუქლაქებდა დააჯდა ჩრდილები, — ალიკასთანაც შევიდნენ, — დააყოლა ბოლოს.

ალიკა ბიძია ჩვენი მეზობელი იყო, მეფუტკრე, და შეძლებულ კაცად ითვლებოდა. მისი სახლი ჩვენი სახლის ქვემოთ დგას ასფალტის გზის მეორე მხარეს.

მერე, ზაფხულში, როდესაც სოფელში

ჩავედით, ალიკა ბიძიას ცოლმა, მაია დეიდამ თვითონ მოგვიყვია ეგ ამბავი.

— ჩვენ არ ვიცოდით, ვინ მოდიოდა, შევარდნადის ხალხი იყო თუ გამსახურდისი. ჩვენი მხარე წურწმინების სახლში აფარებდა თავს. დაერჩით მე და ალიკა სახლში მარტო. ვიფიქრეთ, რა ვქნათ, რა ვქნათ და სახლის ქვემოთ, აბანოს ქვეშ არის სიცარიელე, ცარიელი ადგილი, დავეტენთ ტომრები თივით, დავინყვეთ წინ, უკან ამოვულავეთ რალაცები და იქ ვიმალეობით. არი საშინელი სროლა. აქედან სენაკს ბომბავენ. ხალხი დაიხოცა მაშინ, ჩვენს მეზობლად ერთი ექიმი ბიჭი ცხოვრობდა, ის და კიდე იყვნენ. მერე შემოვიდნენ ესენი სოფელში, შევარდნადის ხალხი იყო და დაბანაკდნენ ხიდს იქით, არქეოლოგიაში. შეწყდა სროლა, ამოვედით მე და ალიკა პირველ სართულზე. ყველაზე მეტად მე გაუპატიურების მემინოდა, რამე არ მაკადრონ, თორე რო მოკვდე კვილით, ქუჩაზე კაციშვილი არ არი.

ჩვენთან სამნი შემოვიდნენ, სამივე ახალგაზრდა ბიჭი და დარჩნენ. გინდ გამსახურდიას ხალხი იყვნენ და გინდ შევარდნაძის, მაინც ქართველები არიან. უნდა ასეა, აჭამო. დათვრნენ ეს ბიჭები და მოითხოვეს მანქანა. ეზოში ძველი მოსკვიჩი რომ გვიყენია, ის. კი ბა-

ბიჭს ფეხებში, ერთხელ ვკედები და გთხოვ, მომკალი ვაჟკაცურად, ოლონდ ამ ქალს ხელს ნუ ახლებ-მეთქი. გადატენა და მომადო ლულა შუბლზე. რო შემოხვედი, ხო მითხარი ჩემი და ხარო, გთხოვ, ნუ იზამ ამას, ვთხოვე კიდე ერთხელ. გიჟის თვალე-ბი ქონდა, ატრიალებდა აქეთ-იქით. ქართველი ქალი როგორ ჩამივარდა ფეხებშიო, დაიძახა უცებ, მომცა ავტომატი მე და მეუბნება. მოდი, მომადე და შენ მესროლო! იმის ხმარება არ ვიცოდი, თორე ჩემი ხელით მივაცხრილავდი იქ, — თქვა ბებია და მივხვდი, იზამდა.

მეორე დღეს ბებია ორი ქათამი დაკლა, შეწვა და ლანგრით გადაიტანა არქეოლოგიაში, სადაც ამათი შტაბი იყო.

მიუტანა რაზმის უფროსს და უთხრა: აჰა, ჭამეთ, გასკდით და გახსოვდეთ, შაჰ-აბასს არ გაუკეთებია ის, რასაც თქვენ გვიკეთებთო.

იმან ჯარისკაცები ჩააყენა მწკრივში, აბა, ქალბატონო, ხელი დაადე, რომელი იყოო. ის ბიჭიც იქ მდგარა, თავს სამხედრო საყვლოში მალავდა თურმე.

ვერ დაადო ხელი ბებიაჩემმა, ჩიქოვანის ქალი იყო მაინც. თვითონაც კარგად იცის, რომელი იყოო, თქვა, გამობრუნდა და წავიდა სახლში. მერე მამაჩემი და ბიძაჩემიც ჩავიდნენ და წამოიყვანეს.

ბებია თხუთმეტი წლის შემდეგ თბი-

ლისში, ჩვენს სახლში გარდაიცვალა. რა-ღაცა უცნაურმა სენმა სამ თვეში დახრა შიგნიდან. ლოგინად ჩავარდნილმა რომ ნახა, ხელით მოსავლელი ხდებოდა, დასაძინებელი აბები გადაყლაპა ჩუმად. მივუსწარი, მოვაბრუნეთ, მაგრამ მხოლოდ სანახევროდ, სულ სიბნელეში იყურებოდა და ვილაცებს ელაპარაკებოდა.

ბოლოს ჩემი ძმის დაწურული მანდარინის წვენი დააღვინეს.

— მაკო, მაკო, დალიე, ლუკამ დაგინურა, — უთქვამს დედას.

— მაგას ვენაცვალე, — უპასუხია ბებიას დაბალი ხმით და ტურჩები გაუსწია.

იმ ღამეს გარდაიცვალა.

როგორც ვთქვი, მე ის ავტომატი არ მინახავს. უბრალოდ წარმომიდგენია — დიდი, შავი, მზინავი, ნახევარმთვარესავით მოღუნული აგურისფერი მჭიდით და ზედ გადახვეული ცისფერი იზოლენტით, მაგრამ ხშირად ვიხსენებ ხოლმე, რადგან ამ ნივთს ფეხდაფეხ მოსდევს ბებიაჩემის სახე — ამაყი, შეუპოვარი, ზიზლიანი, პირდაპირ რომ შეჭყურებს მისკენ დაღერებულ უძირო ლულას და მის თვალებში არ არის შიში. და ვიცი, რომ ეს სახე სულ ბოლომდე გამყვება, როგორც ფარანი ბნელში, სულ გამინათებს გზას, დამიცავს იმ უსამართლობებისგან, რომლის ჩადენასაც მოვინდომებ და გამაბედინებს იმას, რისი გაბედვაც არ შემეძლება...

\*გაიქცა, უყურე, გაიქცა!

ერთი მოსაზრების თანახმად, მწერლობა ადამიანთმცოდნეობაა. მხატვრულ სახეს რომ უდიდესი ფსიქოლოგიური ღირებულება გააჩნია და გვიჩვენებს ადამიანურ ბუნებას მის მრავალგვარ გამოვლინებაში, ამას მეცნიერი ფსიქოლოგებიც ადასტურებენ. მაგალითად, ადოლფ ადლერმა მასწავლებლად აღიარა დოსტოევსკი და დოსტოევსკის შესახებ თავის გამოკვლევაში ეს აზრი გამოთქვა: „ის, რასაც მან მიაღწია, როგორც ფსიქოლოგმა, დღევანდლამდე ამოუწურავია. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მისი მახვილი თვალი ფსიქოლოგისა ჩანს უფრო დიდ სიღრმეს, ვიდრე ის ფსიქოლოგია, რომელიც ჩამოყალიბდა აბსტრაქტული მსჯელობის საფუძველზე, რადგან დოსტოევსკი უფრო ახლო იყო ბუნებასთან“. ზიგმუნდ ფროიდს კი ეკუთვნის სიტყვები: „პოეტებმა და ფილოსოფოსებმა ჩემზე ადრე აღმოაჩინეს არაცნობიერი. მე მხოლოდ არაცნობიერის შესწავლის მეცნიერული მეთოდი შექმენი“. მხატვრული ლიტერატურის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე საუბრობენ სხვა მეცნიერებიც. რაც შეეხება რიგით მკითხველს, მან თავისი გამოცდილებით იცის, რომ თანაგანცდა, რომელსაც ბადებს მხატვრული ნარატივი, ადამიანს არწმუნებს, რომ ისიც კაცობრიობის ნაწილია და ერთი ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის. თანაგანცდის სურვილი განსაკუთრებით მძაფრდება სხვა ქვეყნების ლიტერატურის კითხვისას. ისევე, როგორც მშობლიურ ლიტერატურაში, ადამიანი აქაც ეძებს ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას, შესაძლოა უფრო მეტადაც კი, რადგან სურს, თავისი გრძობებით ფიზიკურად მიუხედავად შორეთი მოიცვა. მაშინაც კი, როდესაც მხატვრულ ტექსტში ასახული ზნეობრივი ან რელიგიური ცნობიერება, ტრადიციები და ცხოვრების წესი მისთვის მიუღებელია, მკითხველი მაინც კმაყოფილდება, რადგან ადამიანის ფსიქიკა, თუნდაც ნეგატიური ნიშნით, მისთვის გაუგებარი და აუხსნელი არ არის. სიტყვის გაგრძელება არ ღირს პოზიტივის შესახებ, თუ ეს უცხოური ლიტერატურიდან მომდინარეობს. უცხოთა შეყვარების მისტიკა, რაც ასე გენიალურად ამოიცნო ვაჟამ თავის გენიალურ პოემებში, სწორედ ამ დროს ხდება ჩვენთვისაც საცნაური. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რა მნიშვნელობა ენიჭება მხატვრულ თარგმანს, როგორც ადამიანთა შორის სულიერი კონტაქტების აქტუალიზაციის საშუალებას. საკამათო არაა, რომ ორიგინალის ენაზე მხატვრული ლიტერატურის ნაკითხვა საუკეთესო ვარიანტია, მაგრამ ეს ოდნავ არ აუფასურებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ახლავს ჩვენს ენაზე ამეტიყველებულ უცხო ენაზე შექმნილ ნაწარმოებს. შემთხვევითი არაა, რომ პოეტმა ამირან (პაკო) სვიმონიშვილმა თავისი თარგმანების კრებულს „ნასესხები შუქი“ უწოდა. თარგმანი მართლაც შუქია, რომელიც პროფესიულ დონეზე ეროვნულ ლიტერატურას ახალი იდეების, გამოსახვის საშუალებებს უნათებს, მკითხველის ემოციის დონეზე კი გულს გვითბობს, რადგან სადღაც, სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს გაგვაცნობს – მათი ფიქრებით, ტკივილებით, სიხარულით, ჩვენგან განსხვავებული ან მსგავსი ხასიათით.

დღევანდელ ტექნოკრატიულ, პრაგმატულ და ძირითადად მატერიალისტურ მსოფლიოში, როდესაც „სერიოზული“ ადამიანები ძირითადად პოლიტიკაზე, ბიზნესზე, სტაბილიზაციაზე, მენეჯმენტზე საუბრობენ და მიიჩნევენ, რომ მსოფლიო წესრიგის საფუძველი მხოლოდ ეს არის, თანდათან დავიწყებთ ეძლევა დიდი პოლონელი მწერლის მიერ საოცრად ზუსტად და მარტივად გამოკვეთილი ხელოვნების მიზანი: „შესძრას ადამიანის გული“. მაგრამ არათუ დავიწყებთ ეძლევა ეს მიზანი, არამედ ისიც კი აღარ ვიცით, თუ რას შეუძლია გამოიწვიოს ადამიანში ნამდვილი გულისძვრა და საერთოდ გვჭირდება თუ არა ეს. ადამიანის უფლებებით ზნეობის ჩანაცვლებამ გამოიწვია ჩვენი დროის უმძიმესი სენი – სულიერი გაუცხოება. და თუ რას უქადის ეს მოვლენა მომავალში იგივე მსოფლიო წესრიგ-

სა და სტაბილიზაციას, ამაზე ნაკლებად ფიქრობენ ისინი, ვისაც ხელთ უპყრია სადავეები. მიიჩნევა, რომ ხსენებული სენის ნამალი კულტურაა, კულტურული ურთიერთობებია, მაგრამ დღეს ასე პოპულარული მასკულტურა ამ მისიას ვერ შეასრულებს, პირიქით, კიდევ უფრო გააღრმავებს საინტერესო ხასიათების დეფიციტს, რადგან ასეთი ხასიათების ადგილი მასკულტურაში არ არის. არადა, მომავალი თაობების ზნეობრივად აღზრდის საუკეთესო მეთოდი მაგალითია – როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე ესთეტიკურ რეალობაში ანუ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ეს ტვირთი თანაბრად უნდა იკისროს როგორც ეროვნულმა, ისე თარგმნილმა ლიტერატურამ. სათარგმნელი ლიტერატურის ამ მიმართულებით შერჩევის საუკეთესო ნიმუშია პაკო სვიმონიშვილის ზემოთდასახელებული თარგმანების კრებული სათაურით „ნასესხები შუქი“. ზოგადად კრებულის შინაარსი პაკოს მიერვე თარგმნილი გოტფრიდ ბენის ამ სიტყვებით გამოიხატება: „სიტყვა, სტრიქონი — შიფრიდან ავლენს ფიქრს გაეღებულს, ცხოვრების საზრისს“. კრე-

მნილი ლექსით თავის მკითხველს შეუქმნას ისეთივე განწყობა ავტორის მიმართ, როგორსაც აღძრავს ორიგინალი. ეს კი მთარგმნელის ნიჭსა და ინტუიციასა და დამოკიდებული. ამ მისიას შესანიშნავად ათმეფს თავს პაკო. მის მიერ თარგმნილ ლექსებში ხასიათების მთელი გალერეაა მოცემული. აქ წარმოგვიდგება გენიალური გოეთე – სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის საიდუმლოებათა მაძიებელი ფილოსოფოსი, ყოველი ადამიანის არაცნობიერში არსებული სიკვდილისადმი მიდრეკილებით, რაც მხოლოდ ბრძენკაცს შეიძლება გაუზიარო, რადგან ბრბო, რომელიც საკუთარი თავის შეუცნობლობით გამოირჩევა, ვერც მიხვდება, რას ნიშნავს ეს სიტყვები: „დალუპვას ცეცხლის ალში რომ ელტვის – სიცოცხლეს ხოტბა მინდა შევასხა“. ჰოლდერლინი – იმედით, ტკივილებითა და აღტაცებით საესე და როგორც ჭეშმარიტი მორწმუნე, ტანჯვის წინაშე შეუდრეკელი და უფლის მოიმიდე; შესანიშნავი გერმანელი რომანტიკოსი ბენეტანო, ჩვენი ბარათაშვილივით ბედის ვარსკვლავს რომ ჭვრეტს და თუ ის გაქრება, სიცოცხლე არად უღირს; ავსტრიელი

არც გამოიყენებოდა – პაკოს მიერ თარგმნილი გერმანულენოვანი პოეტები ძირითადად ამ პერიოდისანი არიან. პაკომ არ აირჩია ის შედარებით მარტივი გზა, როდესაც მთარგმნელი დროის ერთ მონაკვეთში მოაქცევს სათარგმნელ და თარგმნილ ტექსტს და ამით ცდილობს სათარგმნელი ავტორი ჩვენს ეროვნულს დაამსგავსოს. ვფიქრობ, რომ პაკოს ეს პოზიცია დასაფასებელია, რადგან დღეს საქართველოში მოღვაწე მთარგმნელთაგან ზოგი მეტისმეტად ითავისებს სათარგმნელ პოეტს, მისი საშუალებით საკუთარ თავს უფრო გამოხატავს, ვიდრე ავტორის სულიერ სამყაროს. გვაქვს მაგალითები ე.წ. გაქართულებისა, სხვისი პოეტური ნარატივის სპეციფიკური ეროვნული ნიუანსებით გადმოცემისა. ვფიქრობ, ეს თარგმანის სისუსტეა. არაფერი მსგავსი არ ხდება პაკოს თარგმანებში. პაკო ყველა ავტორს უნარჩუნებს შემოქმედებით დამოუკიდებლობას და ეძებს იმ გასაღებს, რომელიც მხოლოდ ამ ავტორს მოერგება. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს პაკოს თარგმანების კრებული. თვისობრივად განსხვავდებიან გერმანულენოვანი პოეტებისგან ლიტველი, უკრაინელი, ბელორუსი, თურქი პოეტები. როგორც ფსიქოტიპებიც – არ არიან გერმანულენოვანებივით მკვეთრად გამოხატული ინტროვერტები. მათ პოეზიაში ყოველდღიური ცხოვრების რიტმი ფეთქავს. მათი მომხიბვლელია მოჭარბებულ მგრძობელობასა და უშუალობაშია. ისინი მძაფრად განიცდიან ცხოვრებისეულ ფაქტებს, ამიტომ მათი პოეზია ბიოგრაფიულია. ფილოსოფიური თვითჩაღრმავებისა და მისტიკის ადგილი არ არის ამ პოეზიაში. მათ არ აქვთ პრეტენზია დახატონ სამყაროს სურათი, მაგრამ სამაგიეროდ, მართალია ცოტა გულუბრყვილოდ, თუმცა ისეთი დამაჯერებლობით გვითხრობენ საკუთარი განცდების შესახებ, რომ აღწევნ ხელოვნების მიზანს – შესძრავენ გულს. ნონკონფორმიზმი, რომელიც ახასიათებს ამ პოეტებს, ესეც დეფიციტია უკიდურესად ანგარიშიან დღევანდელობაში. პაკოს მათთვისაც მორგებული აქვს თავისი გასაღები და ეს, უპირველეს ყოვლისა, შეუცდომლად შერჩეულ მეტყველების სტილშია, რაც მთარგმნელის მაღალპროფესიულობას მოწმობს. ლიტველი, ბელორუსი და უკრაინელი პოეტების თარგმანში აღარ არის რთული კონოტაციის მეტყველება, ამჯერად ენა სადაა, შეთამაშებული და იუმორით შეფერილი.

## გულიკო კალანდარიშვილი ნასესხები შუქი ამირან (პაკო) სვიმონიშვილის თარგმანების კრებული




ბულში მართლაც ბევრი გაეღებულ ფიქრია, ხოლო რაც შეეხება ცხოვრების საზრისს – საზრისი ხომ მხოლოდ წარმატების მიღწევა არაა თუნდაც ძალიან მნიშვნელოვან საქმეში, რა თქმა უნდა, ესეც არის, მაგრამ უკვე მოძებნილია საზრისი, როდესაც ადამიანს თვითჩაღრმავების და საკუთარ თავში მრავალნაირი ძალების აღმოჩენის, სხვათათვის უხილავისა და სულიერი თვალთ დახახვის უნარი შესწევს. ასეთი ადამიანების სულიერი კონტაქტების მასტიმულატორები არიან, თუნდაც მათ გამორჩეული სოციალური სტატუსი არ გააჩნდეთ. ქარაქტეროლოგიურად ამ ტიპის პოეტები შეარჩია პაკომ.

კრებულში წარმოდგენილია 9 გერმანულენოვანი პოეტი, 1 ლიტველი, 1 უკრაინელი, 1 ბელორუსი და 1 თურქი, სულ 34 ლექსი. პარალელურად დაბეჭდილია ყველა ლექსის ორიგინალი, რითაც მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, ამონწოს თარგმანის შინაარსისა და მხატვრული ხერხების შესაბამისობა ორიგინალთან.

უანრობრივად ყველა ნაწარმოები ლირიკას მიეკუთვნება, ეს კი თავისებურ სირთულეს ქმნის მთარგმნელისათვის. ლირიკული პოეზია ინტიმურია, მას აღსარების სახე აქვს, ამიტომ ლირიკული გმირი ყოველთვის საინტერესო ფსიქოტიპია, რომელიც აუცილებლად სიღრმისეულად უნდა შეიცნოს მთარგმნელმა მის პიროვნულ მოცემულობაში და თარგმანში გამოკვეთოს მისი სულიერი პორტრეტი. აქ უკვე თავს იჩენს ლიტერატურის, ასე ვთქვათ, ადამიანისმცოდნეობითი ღირებულება. ადამიანისმცოდნე უნდა იყოს მთარგმნელიც, რადგან თარგ-

გეორგ თრაქლი – პოეტური სურათების დიდოსტატი, რომელიც ყველა შტრიხში მისტიურ შინაარსს დებს – არიან ასეთი ადამიანები, ისინი კონკრეტულში ეძებენ მისტიკას; უბრწყინვალესი რილკე, ჩვენში ძალიან პოპულარული და პაკომდე არაერთგზის თარგმნილი პოეტი, რომელიც პაკომ მართლაც შესანიშნავი თარგმანით წარმოგვიდგინა. ყველას ვერ ჩამოვთვლი – მკითხველი თავად ნახავს. ვიტყვი მხოლოდ, რომ გერმანულენოვანი პოეზია უმაღლესი დონის ინტელექტუალების მიერაა შექმნილი და მთარგმნელისგან მოითხოვს საკუთარი მშობლიური ენის არამარტო ცოდნას, არამედ ქართულ ენაში ისეთი მიმოხრების აღმოჩენას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცის დამდეგს ჩვენს ეროვნულ მწერლობაში



მისტიურია თურქი პოეტი და თარგმანიც შესაბამისი მეტყველების სტილითაა შესრულებული. ოლონდ ეს ტიპური აღმოსავლური მისტიკაა – უფრო მრუმე, უფრო მძიმე და ვნებანი, ვიდრე ევროპული. ნასესხები შუქი ყოველთვის სჭირდება ლიტერატურას, ისეთ ძველს, თვითმყოფადსა და მდიდარსაც კი, როგორც ჩვენი ეროვნული მწერლობაა. მოხარული ვარ, რომ ამჯერად შუქი ჩემთვის უძვირფასესადაა ადამიანმა, პაკო სვიმონიშვილმა მოფინა და თავისი ეს მშვენიერი კრებული ჩვენი თვალსაჩინო მთარგმნელების ნაღვანს შემატა. ნასესხები შუქი სჭირდება საზოგადოებასაც, ოლონდ ნამდვილი შუქი და არა რაღაც სუროგატი. თუმცა, იმედია, ამას საზოგადოება თავადაც გაარკვევს.

\*\*\*

მწერალთა სახლში ლიტერატურის მოყვარულთ მთარგმნელმა დალი ფანჯიკიძემ უმასპინძლა.

„უბრალო“ არაფერი მითარგმნიაო, განაცხადა ქალბატონმა დალიმ, და მართლაც, თომას მანის „ჯადოსნური მთა“, „ბუდენბროკები“, „ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება“, მაქს ფრიშის „Homo Faber“, „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ავტობიოგრაფიული რომანი „პოეზია და სინამდვილე“, ულრიხ პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“, ჰერმან ჰესეს მცირე პროზა, რაინერ მარია რილკეს ნერილები, ინგებორგ ბახმანისა და სხვა ავსტრიელი მწერლების მოთხრობები და გერმანულენოვანი მწერლობის კიდევ არაერთი სხვა მხატვრული ნიმუში ქართველმა მკითხველმა მშობლიურ ენაზე სწორედ დალი ფანჯიკიძის თარგმანების საშუალებით გაიცნო.



იგი ავტორია არაერთი თეორიული ნაშრომისა: „ნერილები“, „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“, „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“, „ენა, თარგმანი, მკითხველი“.

მოგვიანებით, 2006 წლიდან, ქალბატონმა დალიმ ძაღვის პოეზიის თარგმანებიც მოსინჯა. შესანიშნავად გადათარგმნა ავსტრიელი პოეტის, ფელიქს ბრაუნის ფილოსოფიური ლირიკა და ინგებორგ ბახმანის ლექსი „ჩემი ფრინველი“.

მართალია, ბრძანა, რომ პედაგოგიური საქმიანობისა და დიდი ლიტერატურის თარგმნისთვის საჭირო ფიზიკურ ძალებს საკუთარ თავში ვეღარ ვპოულობო, მაგრამ შედარებით ახალი თარგმანი, გრიგოლ რობაქიძის „ქალღმერთის ძახილი“ მის ძველებურ შემართებაზე მიუთითებს. მრავლისმეტყველი, სავსე, საინტერესო იყო ის შეხვედრაც, მწერალთა სახლში რომ გაიმართა.

მან ისაუბრა თავის თარგმანებზე და საყვარელ ავტორებზე, რომელთაგან უპირველესი თომას მანია. ისაუბრა იმ ურთულეს შემოქმედებით პროცესზე, დიდი ლიტერატურის ერთი ენიდან მეორეზე გადატანა, თარგმანის ხელოვნება რომ ჰქვია.

დამსწრეთა თვალწინ გერმანულენოვანი ლიტერატურის დიდოსტატები ახლიდან ამეტყველდნენ ქართულ ენაზე. სეტყვასავით მოდიოდა კითხვები.

ალბათ დარბაზში მსხდომი თითოეული ადამიანი მოანერდა ხელს გიორგი ლობჯანიძის იდეას, რომელიც მწერალთა სახლში, იმავე დარბაზში, ქალბატონი დალის თანდასწრებითვე, ოდნავ მოგვიანებით გაჟღერდა: „ლიტერატურული პრემია „საბა“ ყოველწლიურად გადაეცემა ცნობილ ადამიანებს „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“. არ მესმის, როცა გყავს დალი ფანჯიკიძე, რაღა საფიქრალი?“

# „მადლობა მათ ამისთვის“

\*\*\*

სკოლის მოსწავლეები ბესიკ ხარა-ნაულს შეხვდნენ. შეხვედრა მოზარდების სურვილით გაიმართა. ლონისძიების ორგანიზატორი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო იყო. უკვე მესამე წელია, განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს პროექტს სახელწოდებით „მნივნობართა კლუბი“. პროექტის იდეა ჩაისახა მაშინ, როცა აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები მოსახლეობაში ნიგინერების დონის დასადგენად ჩატარებული საერთაშორისო კვლევების შედეგებს გაეცნენ და კვლევაში მონაწილე 46 ქვეყანას შორის, საქართველო ბოლოდან მეოთხე ადგილზე იხილეს. გადამწყდა, საჯარო სკოლების ბაზაზე შეექმნათ მნივნობართა კლუბები და ამ გზით დახმარებოდნენ მოსწავლეებს პირადი ბიბლიოთეკის შექმნასა და საყვარელი ავტორების აღმოჩენაში.

პროექტის ამოცანაა მოზარდებში ნიგინისადმი საყვარელი გააღვივოს. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან საკითხავი ლიტერატურით. ისინი კითხულობენ ნაწარმოებებს, ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს და დროდადრო საყვარელ ავტორებსაც ხვდებიან.

„მნივნობართა კლუბები“ მოქმედებს იმ საჯარო სკოლებში, რომლებიც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ექვემდებარება. ქვეყნის მასშტაბით ასეთი ცამეტი სკოლაა. აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები ზუგდიდის, სენაკის, ჩხორწყუს, თბილისის სკოლებიდან შეიკრიბნენ მწერალთა სახლში. სწორედ ბესიკ ხარაანაულთან სურდათ შეხვედრა და საახალწლოდ აიხდინეს კიდევ წაღილი.

მოზარდების მისვლამდე სამინისტროს თანამშრომლებმა თითოეული მონაწილისთვის გადასაცემი საჩუქრები მოიტანეს — ქართველი და უცხოელი ავტორების ნიგინები, ახალი გამოცემები. ბოლოს ბავშვებიც გამოჩნდნენ და დარბაზი გაივსო. შეხვედრა სამინისტროს წარმომადგენელს, ნატო კორსანტიას მიყავდა. შესავალი სიტყვა სწორედ ქალბატონმა ნატომ წარმოთქვა. „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი ქართველი ახალგაზრდები დიდი შიშისა და ვაების ფასად ინარჩუნებენ მშობლიურ ენას და ამით გვიწარჩუნებენ სამშობლოს. ეს, ბატონო ბესიკ, ალბათ პირდაპირ ეხმინება თქვენს ფრაზას ქართული ენის შესახებ რომ გავქეთ — ყველაზე მატად აქ ვგრძნობ სამშობლოსო“.

ბატონმა ბესიკმა, ენაო? არცერთი სხვა ენა არ ვიცი და რომ მკითხო, ქართული ვიცი თუ არა, გულწრფელად ვერ გიპასუხებთ, ვიციო; სხვათა შორის, ისეთი პოეტები გყავს, რომელთა ენაც თვალისაცემია, მაგალითად, გიორგი ლეონიძე, მაგრამ მანაც კი, ქართული ენა მხოლოდ იქამდე იცის, იმიტომ რომ ენაში რაღაც ჯადოქრობაა, რომელიც ვერავინ მოიხელებოდა. შემდეგ ბავშვობა გაიხსენა და სამეგრელოსთან და აფხაზეთთან დაკავშირებული პატარ-პატარა ამბები სიყვარულით გააცოცხლა მოზარდებისთვის. სთხოვეს, შოთა რუსთაველზე ისაუბრა, გაიხსენეს მისი „ფიქრები ვეფხისტყაოსნის პირას“.

მე ძალიან მიყვარსო — ბატონმა ბესიკმა — როცა რუსთაველზე ამბობენ, აქაურიო, ან იქაურიო. მომხრე ვარ, რომ ასე თქვან. სიამოვნებით ვისმენ ხოლმე, მის სადაურობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს, ალბათ იმიტომ, რომ მეც ჩემი აზრი მაქვს, ვფიქრობ ფშაველი იყოო. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ რუსთაველში შევიდეთ, რუსთაველი ზღვაა, სიღრმეშია მხოლოდ საშუალო, ნაპირებზე კი შეიძლება თავისუფლად ვიაროთო. მერე ალექსი ჭინ-



ქარაული და „ზღვაში“ ღმად შეცურვის მისეული მცდელობები გაიხსენა. როგორ იქმნებოდა „ვეფხისტყაოსანი“? თავის დროსაც რუსთაველის ტექსტი ამოვარდნილი იყო სინამდვილიდან, ჩახრუხაძე, შავთელი სრულებით განსხვავებულად წერდნენო. შესაძლებელია, რომ მაშინ, თანამედროვეებს არც მოსწონდათ, ეუცხოებოდათ ის ფრაზეოლოგია, აკი ვაჟას ენაც არ არის მხოლოდ ათასნაირი იმიტომ რომ ენა დაგროვდება ხოლმე და მერე ვილაც ეძგერება, იტაცებს და თავის ნაწარმოებებში შემოგვთავაზებს, ერთი ფრაზის შექმნას ალბათ საუკუნე უნდაო. ჰოდა, მეც მაქვს აზრი, რომ რუსთაველი იყო ფშაველი, ეს მტკიცების საგანი არ არის, უბრალოდ ათასნაირი გზა არსებობს, რომ მასთან ახლოს მიხვიდე, ათასნაირად შეიძლება მოგეჩვენოს, ათას ვინმედ შეიძლება მოგეჩვენოს რუსთაველი, აგიჟებს რუსთაველი ხალხს, ამიტომ ძალიან საშიშია სიღრმეები იმ დალოცვილისო.

მოზარდები, უნდა ითქვას, მომზადებულნი იყვნენ მწერალთან შესახვედრად. კარგად იცნობდნენ მის შემოქმედებას, საინტერესო კითხვები ჰქონდათ. ბევრს ფურცელზეც კი დაენერა შეკითხვები. ბატონი ბესიკი კი ცდილობდა, თავისი პასუხებით სკოლისეზური ატმოსფერო დაერღვია, შეხვედრა არ დამსგავსებოდა საჩვენებელ გაკვეთილს და ბავშვებისთვის დავეინყებინა, რომ დარბაზში მასწავლებლები და მთავრობის წარმომადგენლები ისხდნენ. იმ დღეს ბავშვებმა ბევრი რამ შეიტყვეს საყვარელ მწერალზე, თუნდაც ის, რომ ღმომ უყვარს და ის მერი ადამიანია შეაყვარა.

\*\*\*

მწერალთა სახლში გამომცემლობა „ინტელექტმა“ კიდევ ერთხელ შეახვედრა მკითხველი ნობელიანტებთან, მათ ლიტერატურასთან, მათ ქართველ მთარგმნელებთან.

10 დეკემბერს ალფრედ ნობელი გარდაიცვალა. ყოველწლიურად სტოკჰოლმში ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონია სწორედ ამ რიცხვში იმართება. ლირსეანიშნავი თარიღი, „ნობელიანტის დღე“ განსაკუთრებულად აღნიშნა „ინტელექტმა“ — ცნობილი სერიით „ნობელის პრემიის ლაურეატები“ გამოცემული 80 ნიგნი ერთდროულად წარუდგინა საზოგადოებას. მოენყო გამოფენა-გაყიდვა, შეხვედრა ნობელიანტთა მთარგმნელებთან და სერიის ახალი ნიგნების პრეზენტაცია.

სალამოზეც და, როგორც ჩანს, საზოგად-

დობეაშიც, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა ერთ-ერთი ახალი ნიგნი სერიიდან, ფრანსუა მორიაკის „იესოს ცხოვრება“, რომელიც დალი იაშვილმა თარგმნა. ქალბატონმა დალიმ ზოგადად პროექტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და ვრცლად შეეხო, ასევე, მორიაკის ცნობილ ნაწარმოებს. ისიც კი თქვა, ვინც ნაწარმოებს იცნობს, ქართულ ენაზე ნიგნის გამოსვლის შემდეგ შემეხმინა და მკითხა, ეკლესია რას ამბობს ამაზეო. როცა 1937 წელს „იესოს ცხოვრება“ გამოიცა, კათოლიკურ ეკლესიას თავისი უარყოფითი დამოკიდებულება უმაღლესი თქვამს და ავტორს ორთოდოქსული აღმსარებლობისკენ გადახრასაც კი ედავებოდა თურმე. რამდენადაც ვიცო, ქალბატონმა დალიმ, საქართველოს ეკლესიას ნიგნის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მით უფრო, რომ ავტორი სახარების ტექსტს მიჰყვება, ცდილობს უფრო ახლობელი გახადოს მკითხველისთვის ქრისტეს პიროვნება, აჩვენოს მისი ორბუნებოვნება, ერთ-ერთ ღვთისმსახურს ტელეგადაცემაში დადებითადაც კი უსაუბროს ნაწარმოებზეო. ბატონმა კახმეგმა ამაზე ხუმრობით დასძინა, არ მგონია ვინმეს ნიგნთან დაკავშირებით პრეტენზია ჰქონდეს, ამ შემთხვევაში გამომცემლობასა და მთარგმნელს კი არა, ნობელის კომიტეტსა და თვით ავტორს უნდა მიმართოს.

სალამოზე სიტყვით გამოვიდნენ და თავიანთ თარგმანებზე ისაუბრეს ასევე დალი ფანჯიკიძე, მერი ტიტვინიძე, ნანა გოგოლაშვილი.

ბატონმა კახმეგმა სტუმრებს უამბო ირანის ნიგნის საერთაშორისო ბაზრობის შესახებ, რომელზეც წელს პირველად იყო მიწვეული ორი ქართული გამომცემლობა. მოყვა „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ მოგზაურობაზე ირანში, ჰექტრობით გადაჭიმულ ნიგნების ქალაქში, ისაუბრა უმდიდრეს ირანულ მთარგმნელობით სკოლაზე და სხვა შთაბეჭდილებებზე, იქიდან რომ ჩამოიტანა. შემდეგ გამომცემლობის ახალგაზრდა თანამშრომელმა გვანცა ჯობავამ გაგვიზიარა იტალიაში გამართულ ნიგნის ფესტივალზე მიღებული შთაბეჭდილებები და მოგვითხრო შეხვედრებზე იმ იტალიელ გამომცემლებთან, ქართული ლიტერატურის თარგმნითა და გამოცემით რომ არიან დაინტერესებული. გვანცა სწორედ იმ დღის დაბრუნებული იყო რომიდან.

ერთგვარად დამაგვირგვინებელი იყო გიორგი ლობჯანიძის გამოსვლა: „ინტელექტი“ ის გამომცემლობაა, კონცეპტუალურად რომ გამოსცემს ნიგნებს, მან დააარსა რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი სერია, რომლის ყოველ ახალ ნიგნსაც, თუ მკითხველი ხარ, ელოდები. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „ნობელიანტები“. ახლა ვუყურებდი სლაიდებს და ვფიქრობდი, აი, ხალხი, ვინც შექმნა მსოფლიო გონი, მსოფლიო ინტელექტი-მეთქი, მერე მთარგმნელებს გადავხედე და შემიძლია თამამად გავიმეორო, აი, ხალხი, ვინც შექმნა ქართული მთარგმნელობითი სკოლა მე-20 საუკუნეში. მინდა, მათ მადლობა ვუთხრა ამისთვის“...

## მომზადდა თამარ ჟურნალმა



# ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურნალი

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com